გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№25 (1666) 12 — 18 ივლისი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ეშმაკი პირჯვარს იწერს

ქართველ მღვდელმთავართა სერიული მკვლელობების ანატომია

ლელა ჯეჯელავა: „კვლავ საბჭოთა მატრიცაში ვცხოვრობთ!"

„თუ ჩვენი ეკლესია არ გათავისუფლდა რუსული ეკლესიისა და რუსული პოლიტიკის გავლენებისგან, საფრთხე ყოველთვის იარსებებს"

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ვინ არიან კაზინო „აჭარას" მფლობელები

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ფულის გათეთრების დაუსრულებელი ქრონიკის დეტალები

სად გაქრა კახა კუკავა

„დასავლურ იდეას იყენებენ ქართველი, გარყვნილი მიშისტები, ნაცისტები და ფაშისტები"

კახეთის პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამამძიმებელ გარემოებაში, ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, 1942 წელს დაბადებული ა.ღ. დააკავეს.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბანში, ყოფით ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკებისას, ცოლს – 1953 წელს დაბადებულ ნ.ღ.-ს, სანადირო თოფით სასიკვდილო დაზიანება მიაყენა.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ოჯახის წევრის მიმართ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ ბორჯომში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2006 წელს დაბადებული თ.ბ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 8 ივლისს, ბორჯომის ცენტრალურ პარკში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 2000 წელს დაბადებულ დ.ხ.-ს, ცივი იარაღით, სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში ბრალდებული თ.ბ. ცხელ კვალზე, შემთხვევის ადგილზე დააკავა.

დანაშაულის ჩადენის იარაღი ამოღებულია ნივთმტკიცების სახით.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლების მიერ, ბათუმში გაუჩინარებული მოზარდის, 2007 წელს დაბადებული ლ.ა.-ს ცხედარი, ნაპირიდან დაახლოებით ორი კილომეტრის მოშორებით იქნა ნანახი.

ლ.ა.-ს გაუჩინარების თაობაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტს განცხადებით, მიმდინარე წლის 5 ივლისს მიმართეს, რის შემდეგაც არასრულწლოვნის სამძებრო სამუშაოებში უწყების შესაბამისი დანაყოფები ჩაერთვნენ. ფაქტზე დაიწყო გამოძიება.

გამოძიების ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სამი პირი: 1989 წელს დაბადებულ ზ.ს., 2004 წელს დაბადებული ნ.მ. და 2005 წელს დაბადებული ლ.მ. დააკავეს.

ზ.ს.-ს ბრალად ედება არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა.

ხოლო ნ.მ. და ლ.მ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით არიან დაკავებულები.

გამოძიების მსვლელობისას ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ზ.ს.-მ, მიმდინარე წლის 4 ივლისს, ბათუმში, ლ.ა. და კიდევ სამი პირი, მისი მართვის ქვეშ არსებულ კატერზე გამობმული ე.წ. გასაბერი ბანანით ზღვაში გაიყვანა.

მოგვიანებით, ზ.ს.-მ მკვეთრი მანევრით, ე.წ. გასაბერ ბანანზე მჯდომი ოთხივე პირი, მათ შორის, ლ.ა. განზრახ გადაყარა წყალში ისე, რომ მათ სამაშველო ჟილეტების გამოყენების საშუალება არ მისცა, თავად კი კატერზე მყოფ თანხლებ პირებთან, ამჟამად აღნიშნული დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის ბრალდებულის სახით დაკავებულ ნ.მ.-სთან და ლ.მ.-სთან ერთად სვლა განაგრძო.

წყალში აღმოჩენის შემდეგ, სამმა ახალგაზრდამ ნაპირზე გამოსვლა შეძლო, ხოლო ლ.ა.-ს სამძებრო სამუშაოები ამ დრომდე ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, უსაფრთხო ტურიზმთან დაკავშირებით მომზადებული ვიდეორგოლის პრეზენტაცია გამართა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, უსაფრთხო ტურიზმთან დაკავშირებით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადებული ვიდეორგოლი წარადგინა.

ღონისძიება, რომელიც ბათუმში გაიმართა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ გახსნა.

ვიდეორგოლის პრეზენტაციაზე მისულ სტუმრებს სიტყვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მაია ომიაძემ და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა მიმართეს.

„ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი მისია და პატივი, რომ დავიცვათ თითოეული ტურისტის უსაფრთხოება, ეს არის ჩვენი ქვეყნის იმიჯი იმისთვის, რომ თითოეულ ადამიანს, რომელიც საქართველოში იმოგზაურებს, ჰქონდეს სურვილი, აქ კიდევ ერთხელ ჩამოვიდეს.

ჩვენ მოვამზადეთ კლიპი, რომელიც გათვლილია, როგორც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვის, რომლებსაც სურთ ქვეყანაში ჩამოსვლა. აქ კიდევ ერთხელ ვაჩვენებთ იმ დიდ სამუშაოს, რასაც შინაგან საქმეთა სამინისტრო და პოლიცია ამ ადამიანების დაცვის მიმართულებით აკეთებს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება ის მესიჯი, რომელიც კიდევ უფრო მეტად მოიზიდავს ტურისტებს ჩვენს ქვეყანაში და, რა თქმა უნდა, აჭარის რეგიონში“, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ უწყების ხელმძღვანელ პირებსა და თანამშრომლებს, უსაფრთხო ტურისტული გარემოს უზრუნველყოფისთვის მადლობა გადაუხადა.

„ძალიან მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი ყველაზე ცენტრალური საწყისია უსაფრთხოება, როგორც ამ ქალაქში, ისე ქვეყანაში. გარემო, სადაც თითოეული ჩვენი სტუმარი, მათი ოჯახი იგრძნობს თავს დაცულად. მინდა, მადლობა გადავუხადო შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობას, ყველა პოლიციელს, ყველა ქვედანაყოფის წარმომადგენელს, განსაკუთრებით, აჭარის ხელმძღვანელ პირებს იმ თავდაუზოგავი შრომისთვის, რომლითაც ვახერხებთ, რომ ყოველწლიურად, კიდევ უფრო მეტად განვავითაროთ, როგორც ჩვენი რეგიონი, ასევე გვყავდეს კიდევ უფრო მეტი დამსვენებელი“, – განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

ქვეყანაში უსაფრთხო ტურიზმის უზრუნველყოფა შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

საზაფხულო ტურისტული სეზონი გახსნილია და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფების წარმომადგენლები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ვიზიტორებისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე ზრუნავენ.

ნინო დოლიძე

ეშმაკი პირჯვარს იწერს



ქართველ მღვდელმთავართა სერიული მკვლელობების ანატომია

რამდენიმე წლის წინ, ქვეყანა ე.წ. ციანიდის საქმემ შეძრა. ახლახან კი გავრცელდა ცნობა, რომ პატრიარქის თანამოსაყდრე შიო, შესაძლოა, დარიშხანით მოწამლეს. ამ ვერსიას ისიც ამყარებს, რომ ჯერ ერთი, მიტროპოლიტ შიოს ორგანიზმში მძიმე მეტალები აღმოჩნდა (რასაც საპატრიარქოც ადასტურებს) და მეორეც, მოულოდნელად გარდაიცვალა ქალბატონი, რომელიც მიტროპოლიტის ოთახს ალაგებდა. ამასთან, თანამოსაყდრის შესაძლო მოწამვლაზე გამოძიებაც დაიწო და ხმა დადის, რომ სავარაუდოდ, საგამოძიებო უწყება კითხვებს შორენა თეთრუაშვილსაც დაუსვამს. ლუციფერმა უწყის, მოვლენები როგორ განვითარდება, თუმცა ვიდრე მომხდარზე გამოძიება კომპეტენტურ დასკვნას დადებს, მოდით, „ვერსიის“ არქივიდან თვალი ქართველ მღვდელმთავართა და სასულიერო პირების სერიულ მკვლელობებსა თუ თვითმკვლელობებს გადავავლოთ.

ყველაფერი 1918 წლის 26 ივნისს დაიწყო, როცა ბელზებელი კუთხეში იჯდა და იცინოდა, თუმცა დანამდვილებით არავინ იცის, მარტყოფის მონასტერში რა მოხდა, სადაც პატრიარქი კირიონი მოკლეს. სხვათა შორის, კირიონ მეორის მკვლელობაზე გამოძიება არ ჩატარებულა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მარტყოფის ტრაგედია ჩრდილოეთში დაიგეგმა. ეს ეჭვი უსაფუძვლო ნამდვილად არ არის, რადგან კირიონის ეროვნული სულისკვეთება რუსებს ნერვებს უშლიდა და ჯერ კიდევ ცარიზმის დროს, საერო ხელისუფლებამ მასზე საიდუმლო მეთვალყურეობა დააწესა. მას ე.წ. სასულიერო მთავრობაც **„პოლიტიკურად არასაიმედო და მეფის ხელისუფლებისთვის მიუღებელ პიროვნებად“** მიიჩნევდა და ავიწრობდა. მეტიც, კირიონი გორის ეპისკოპოსობიდან გაათავისუფლეს, სამშობლოში მოღვაწეობა აუკრძალეს და რუსეთში, კამენეც-პოდოლსკის ეპარქიაში გააგზავნეს, რაც, პრაქტიკულად, გადასახლება იყო. ქართული ეკლესიის თავდადებული ქომაგის, ნიკოლოზ დურნოვის გადმოცემით, კირიონ საძაგლიშვილის საქართველოდან განდევნის საბაბი სვეტიცხოვლის ტაძარში, საბერძნეთის დედოფლის მიმართ, მის მიერ წარმოთქმული მისალმება გახდა, რომელშიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და საქართველოს ეკლესიის აღმავლობა-წინსვლა ალეგორიულად მოიხსენია.

1905 წელს, კირიონ საძაგლიშვილს საქართველოში აბრუნებენ და სოხუმის ეპარქიის მმართველად ნიშნავენ. სწორედ ამ დროს, მეფის რუსეთი სოხუმში ასიმილისტურ ანუ აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილების პოლიტიკის გატარებას იწყებს, რასაც კირიონი დაუპირისპირდება... 1907 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, კირიონის წინააღმდეგ ბრძოლა განახლდება და, აფხაზთა გაქართველების ბრალდებით, სოხუმის ეპარქიის მმართველობიდან გაათავისუფლებენ. ადგილობრივი მოსახლეობა კირიონის დაცვას შეეცდება და ხელმოწერების შეგროვებას დაიწყებს. საპროტესტო წერილს ხელს 909 ადამიანი მოაწერა, მათ შორის, ადგილობრივი რუსები და აფხაზებიც. ერთი სიტყვით, საარქივო მასალები მოწმობს, რომ კირიონ მეორე შეთქმულების მსხვერპლი გახდა...

მარტყოფის მონასტრის საიდუმლო

... წმინდა ანტონის მონასტრის მყუდროება ცხენის ჭიხვინმა დაარღვია... ეტლიდან კათალიკოსი მძიმედ გადმოვიდა და ახლადგაღვიძებულ მზეს თვალი თვალში გაუყარა... არქიმანდრიტმა ტარასიმ და ვასილ კბილაშვილმაც მას მიჰბაძეს...

თავიდან გადაწყვეტილი იყო, რომ პატრიარქს მარტყოფში ქრისტეფორე კაპანაძეც უნდა ხლებოდა, მაგრამ ეტლში ჩასხდნენ თუ არა, კათალიკოსს მოაგონდა, რომ საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში წიგნები დარჩა. გადაწყდა, წიგნებს ხვალ ქრისტეფორე ჩამოიტანს...

უწმინდესი პატრიარქი მარადისობისაკენ მიმავალ გზას მშვიდად გაუყვა...

1918 წლის 26 ივნისია...

მარტყოფის სანახებში სიკვდილი დანავარდობს...

... პატრიარქმა წელზე არამიწიერი სიცივე იგრძნო. ჯერ გაუკვირდა. მერე, ცალყბად გაიღიმა.

შეეშინდა?..

ალბათ, – არა...

ანდა, რისი უნდა შეშინებოდა?! ეს ხომ „ბრაუნინგია“, მისი გადასახლებისა და ჭირ-ვარამის თანამოსაყდრე...

ისე, კირიონს სიკვდილი სულ ფეხდაფეხ დაჰყვება. მართალია, რუს ეგზარქოსებს თავი როგორღაც დააღწია, მაგრამ კინაღამ სამშობლოში მოკლეს. ეს ამბავი შარშან, 1917 წლის 1 ოქტომბერს, სვეტიცხოველში, სწორედ იმ დღეს მოხდა, კირიონი კათალიკოს-პატრიარქად რომ აღსაყდრდა:

უწმინდესმა წირვა დაასრულა და, მღვდელმთავრების თანხლებით, გასასვლელისკენ დაიძრა. მოულოდნელად, უცნობი მიუახლოვდა და ქაღალდის ნაგლეჯი მიაჩეჩა. ანონიმურ წერილში გარკვევით ეწერა, ხალხში მკვლელია დამალული და ტაძრიდან გახვალ თუ არა, გესვრისო.

პატრიარქი წამითაც არ შეყოვნებულა...

გასასვლელამდე რამდენინე ნაბიჯიღაა დარჩენილი...

მრევლი დაზაფრულია...

ყარამან კიკნაველიძემ ხალხის ტალღა გაარღვია და კირიონს გვერდით ამოუდგა. ყარამანი ავტორიტეტული კაცია. ადრე, თურმე, ყაჩაღად ყოფილა გავარდნილი...

– მომეცით ხელი, თქვენო უწმინდესობავ! აბა, ვინმემ გაბედოს თქვენთვის სროლა! – შესძახა კიკნაველიძემ და პატრიარქი სამშვიდობოს გამოიყვანა...

ამ ამბიდან გავა სამი-ოთხი თვე და კირიონის მოკვლას კიდევ სცდიან. „მკვლელობის სცენარი“ კი საეკლესიო საბჭოს იმ სხდომაზე „დაიწერება“, რომელზეც კათალიკოსის პირადი მდივანი და საკათალიკოსო საქმეთა მმართველი უნდა აერჩიათ. ამ თანამდებობაზე, კორნელი კეკელიძემ და კალისტრატე ცინცაძემ, დავით დავიდოვის კანდიდატურა წამოაყენეს. დავიდოვის გაგონებაზე კირიონს ფერი ეცვალა, თუმცა არ შეიმჩნია...

ზემოხსენებულ თანამდებობაზე კეკელიძე და ცინცაძე პროტექციას კიდევ ერთ პიროვნებას – ალექსანდრე ნიკიტინს უწევენ, თუმცა კირიონი ვეღარ მოითმენს და წამოიძახებს:

– თქვენ თუ საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს საქმეთა მმართველად დავიდოვს აირჩევთ, მე კათალიკოსის ხარისხს ავიყრი!

დარბაზში სამარისებური სიჩუმე გამეფდება...

სიტყვას საბჭოს წევრი, ობერ-პროკურორი ჩიტო კაპანაძე ითხოვს:

– გასაოცარია ზოგიერთის განწყობილება, როგორ შეიძლება, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს საქმეთა მმართველად იმ კაცის არჩევა, რომელიც მუდამ რუსის ეგზარხოსების ჯაშუში იყო!

დავით დავიდოვის მომხრეებს ნირი საბოლოოდ წაუხდათ...

საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს საქმეთა მმართველად ალექსანდრე ნიკიტინს ირჩევენ...

– ბატონო ჩიტო, დავით დავიდოვი შეშფოთებული გეძებთ, დღეს უკვე სამჯერ გიკითხათ, – მოახსენა მეორე დღეს სამსახურში მისულ კაპანაძეს მსახურმა, თუმცა ობერ-პროკურორს ამ ფაქტისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია...

... საკათალიკოსო საბჭო დღესაც შეიკრიბება. ანაზდეულად, დარბაზში დავით დავიდოვი შემოვა, დამსწრე საზოგადოებას ცივად მიესალმება და ჩიტო კაპანაძეს მკვახედ ჰკითხავს:

– თქვენ რა სთქვით ჩემზე?

– ის, რაც ვიცოდი და საჭიროდ მივიჩნიე. უკან დაიწიეთ და თქვენი ადგილი დაიჭირეთ!

– გაიმეორეთ, რა სთქვით? – დავიდოვს თვალები დემონივით უელავს.

– მე ის ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ვინც რუსი ეგზარხოსების ჯაშუში იყო, თავისუფალი საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს საქმეთა მმართველი ვერ იქნება! – აუღელვებლად წარმოსთქვა კაპანაძემ. სწორედ ამ დროს, დავიდოვმა მუშტი მოუქნია, მერე რევოლვერიც „იშიშვლა“, თუმცა დავით ჩიქოვანმა იმარჯვა და დავიდოვს ხელები დაუჭირა. ამასობაში, მილიციაც მოვიდა...

მერე, დრო რომ გავა, რევოლვერმომარჯვებული დავიდოვი კირიონის კაბინეტშიც შევარდება, თუმცა ამჯერად მორჩილი გერმოგენე იმარჯვებს და კათალიკოსს „დემონის ბრჭყალებისგან“ იხსნის...

... ლოცვა რომ დაასრულა, კირიონმა ხელი სამუშაოს მიჰყო. ამასობაში ნაშუაღამევიც დადგა.

პატრიარქი დასაძინებლად მოემზადა...

ზუსტად ღამის პირველი საათია...

უწმინდესი, როგორც წესი, დილის 5 საათზე იღვიძებს. ამ ტრადიციას, ალბათ, არც დღეს დაარღვევს, მაგრამ... უკვე 6 სრულდება, კირიონი კი არ ჩანს.

რატომ?

რა ხდება?

ნეტავ, ავად ხომ არაა?

– ცოტა ხანს კიდევ ვაცალოთ და თუ კარი არ გააღო, ჩვენ შევიდეთ, – გადაულაპარაკა ვასილ კბილაშვილმა არქიმანდრიტ ტარასის.

ცოტა ხანიც გავიდა...

კირიონი ისევ არ ჩანს...

არქიმანდრიტი ტარასი და დავით კბილაშვილი კათალიკოსის საძინებელში შედიან...

კირიონი საწოლზეა მისვენებული, სახე წითლად აქვს შეღებილი...

„ბრაუნინგიც“ აქვეა...

უწმინდესმა პატრიარქმა თავი მოიკლა?

არა, ეს შეუძლებელია!

დაუჯერებელია!..

იქნებ, ვინმე ფანჯრიდან შემოიპარა და მოკლა?

ეს უფრო ლოგიკურია, მაგრამ კათალიკოსის ოთახს მხოლოდ ერთი ფანჯარა აქვს, რომელიც მიწიდან 4 მეტრითაა დაცილებული. მაშასადამე, მკვლელს ოთახში უხმაუროდ შეღწევა გაუჭირდებოდა.

აბა, რა მოხდა?!

„ბოროტი სული“, იქნებ, კარიდან შემოვიდა?

დავუშვათ, ასეა, მაგრამ სანამ კირიონამდე მიაღწევდა, ჯერ ის ოთახი უნდა გაველო, სადაც არქიმანდრიტ ტარასისა და ვასილ კბილაშვილს ეძინათ, მაგრამ მათ ხმაური კი არა, ფაჩუნიც არ გაუგონიათ...

ერთი სიტყვით, ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ უწმინდესმა პატრიარქმა თავი მოიკლა? ისე, თუ თავის მოკვლას აპირებდა, ქრისტეფორე კაპანაძე წიგნების წამოსაღებად თბილისში რატომღა დატოვა?

იმ ღამეს მარტყოფის ტაძარში, იქნებ, დემონი შეიპარა?

იქნებ, თავად ლუციფერმა გამოჰკრა თითი ბრაუნინგს?

იქნებ... იქნებ...

... და კიდევ უამრავი „იქნებ“...

დასასრული მე-15 გვერდზე

სად გაქრა კახა კუკავა

„დასავლურ იდეას იყენებენ ქართველი, გარყვნილი მიშისტები, ნაცისტები და ფაშისტები“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

მიმდინარე პოლიტიკურ თემებზე „ვერსია“ თავისუფალი საქართველოს ლიდერ კახა კუკავას ესაუბრა.

– ბატონო კახა, რატომ აღარ აქტიურობთ?

– იმიტომ არ ვჩანვართ, რომ ტელესივრცე ძირითადად არის გაყოფილი ორ პოლიტიკურ ჯგუფს – „ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ შორის. რადგანაც ჩვენი პარტია, თავისუფალი საქართველო არცერთ მხარეს მიეკუთვნება, ეს ტელეპარტიული მედიაც არ იჩენს ჩვენ მიმართ ინტერესს. ახლა ვცდილობთ, ახალი სატელევიზიო ფორმატის შექმნას რამდენიმე შუაშისტურ პარტიასთან ერთად და გვინდა, რომ გავარღვიოთ ქვეყანაში არსებული ორპოლუსიანობა. ორპოლუსიან სივრცეში თავისუფალი საქართველოს ადგილი ნამდვილად არ არის, არც ივანიშვილისა და არც სააკაშვილის ბანაკში.

– რომელ პარტიებთან გაქვთ კოსნულტაციები და ეს მხოლოდ სატელევიზიო თემას შეეხება, თუ ერთობლივ პოლიტიკურ გეგმებს?

– პრინციპში, ეს ერთი და იგივეა. მთავარია, იყოს მესამე, თავისუფალი სივრცე, რომელიც არ იქნება მართვადი არც რუსეთისგან და არც – დასავლეთისგან. ასეთი სივრცის ჩამოყალიბება საკმაოდ რთულია, რადგან გასაგებია, რომ რუსეთისა და დასავლეთის უკან, ძალიან ბევრი მილიონი დგას და საკუთარი რესურსების ამარა, ასეთი სივრცის ფორმირება რთულია, თუმცა ვცდილობთ და ვნახოთ, რა გამოგვივა.

– გასაგებია და რომელ პარტიებთან ერთად ქმნით ამ სივრცეს?

– შემიძლია, დავასახელო საპარლამენტო ჯგუფი „გირჩი“, ვისთანაც გვქონდა ამ თემაზე საუბარი. სხვებთანაც მქონდა საუბარი, მაგალითად, გოჩა ჯოჯუას ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასთან და სხვა, შედარებით მცირე ზომის ორგანიზაციებთან.

– ბატონო კახა, სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, „გირჩი“ რომ ახსენეთ... რადიკალურად განსხვავებული იდეოლოგია გაქვთ და გადაკვეთის წერტილი სად მონახეთ?

– რა თქმა უნდა, იდეოლოგიურად ჩვენ ერთობა არ გვაქვს და რამე პოლიტიკური კოალიციის ფორმირებას კი არ ვაპირებთ. აქ საუბარი იმაზეა, რომ იყოს სივრცე ტელემედიაში, სადაც თანამოაზრეები ერთ ხმაში კი არ ვიყიყინებთ, არამედ, იქნება თავისუფალი სივრცე, ნებისმიერი განსხვავებული აზრისთვის. ამიტომაც ლოგიკურია, რომ „გირჩიც“ იქნება იქ და ჩვენგან განსხვავებული, ბევრი სხვაც...

– წელან, დასავლეთისა და რუსეთის გავლენებისგან თავისუფალი სივრცე ახსენეთ და გავრცელებულია მოსაზრება, რომ ვინც დასავლეთს უარყოფს და ე.წ. პროქართულ იდეას ანვითარებს, რუსულ საქმეს აკეთებს... რას იტყვით ამაზე?

– ნაწილობრივ ასეა, ნამდვილად. ქართულ იდეას ბევრი იყენებს, რუსული პროპაგანდისა და პოლიტიკის გამტარებლებიც, თუმცა ვთქვათ, რომ ქართული პატრიოტიზმი არის პრორუსული იდეოლოგია, ეს ტვინის დაავადების ფორმაა. მაშინ, ილია და აკაკი, ზვიადი და მერაბი რუსული იდეოლოგიის გამტარებლები ყოფილან... ნებისმიერ ჯანსაღ, კეთილშობილურ და მაღალ იდეას ყოველთვის გამოიყენებენ ნაძირლები და ამის მაგალითი, შეიძლება, ვეძებოთ არა მარტო იმაში, რომ ქართულ ეროვნულ იდეას იყენებენ რუსული ძალები, არამედ, იმაშიც, რომ დასავლურ იდეას იყენებენ ჩვენი ქართველი, გარყვნილი მიშისტები, ნაცისტები და ფაშისტები. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ დასავლური პრინციპები, ფილოსოფია და დემოკრატია არ არსებობს? რა თქმა უნდა, არსებობს, უბრალოდ, ამას იყენებს გარეწრების რაღაც ჯგუფი, სააკაშვილის თამადობით. ისევე, როგორც დღეს კონსერვატიზმს ცდილობს, ამოეფაროს კობახიძე, წულუკიანი და ა.შ. გარეწრების მეორე ჯგუფი ანუ ის, რომ გარეწრები მაღალ იდეებს იყენებენ, არ ნიშნავს, რომ ეს იდეები არ არსებობენ.

– ამომრჩეველმა როგორ უნდა გაარჩიოს, რომელი პოლიტიკოსი მისდევს ჯანსაღ და გულწრფელ იდეას და რომელი – არა?

– არ არის ეს რთული გასარჩევი. ამისთვის ყურადღება უნდა მივაქციოთ პოლიტიკური ძალის რეალურ საქმეებს. მაგალითად, რასაც ნაციონალური მოძრაობა ლაპარაკობს დასავლური ღირებულებების შესახებ, დიდი ნაწილი სწორია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ვნახოთ, თავად რას აკეთებდნენ, როცა ხელისუფლებაში იყვნენ. დღეს რომ დამოუკიდებელ სასამართლოზე საუბრობენ, ჰქონდათ დამოუკიდებელი სასამართლო? – არა! არც თავისუფალი არჩევნები ჰქონდათ და არც – თავისუფალი ბიზნესი... ანალოგიურად, „ქოცები“ დღეს რომ ლაპარაკობენ ტრადიციულ ფასეულობებზე, ხომ გვახსოვს, ანტიდისკრიმინაციული კანონი ვინ მიიღო და როგორი ფორმებით მიაღებინა პარლამენტს? ამიტომაც, ყოველთვის გადამწყვეტი უნდა იყოს არა სიტყვები (სიტყვები ყველა გარეწარს შეუძლია, გაიმეოროს), არამედ, მათი საქმეები და ბიოგრაფია.

– ხელისუფლებასთან ერთად, ნაციონალურ მოძრაობას მწვავედ აკრიტიკებთ. როგორ აფასებთ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას ქართულ პოლიტიკაში ჩართულობის შესახებ? წინასაარჩევნოდ, რა როლს შეასრულებს ეს, ოპოზიციის ფლანგზე?

– მგონია, რომ ტყუილად თქვეს უარი სააკაშვილის ადვოკატებმა არჩეულ სტრატეგიაზე, რომ ამ ადამიანს სჭირდა დემენცია. მიხეილ სააკაშვილის ერთადერთი საშუალება ციხიდან გამოყვანის ისაა, რომ ჩაუტარონ კვალიფიციური ფსიქიატრიული ექსპერტიზა. მას ძალიან დიდი ხანია, ვიცნობ და არ აქვს ინტელექტუალური მონაცემები, რომ გააცნობიეროს, რას აკეთებს. ციხეში ყიფნა ისტერიულად არ უნდა და ამიტომაც, ერთმანეთზე უფრო სულელურ ნაბიჯებს დგამს, რომ ციხეს თავი დააღწიოს. ოღონდ, ამის უკან ინტელექტუალური დასაბუთება არ დგას. მას არ შესწევს უნარი, პასუხი აგოს საკუთარ ქმედებებზე, თორემ თვითონ ამბობდნენ, რომ კეზერაშვილი და მერაბიშვილი ივანიშვილთან იყვნენ შეკრულნი და ახლა, ამ ძალებს რომ შეეკვრება, მასე გამოუშვებს ივანიშვილი ციხიდან? – ხომ გესმით, როგორი აბსურდია. სააკაშვილი ახლა ჰგავს ოთხ კედელშუა მოქცეულ მღრღნელ ცხოველს, რომელიც ხან ერთ კედელს ეცემა, ხან – მეორეს იმიტომ, რომ თვალები არ აქვს... ეს არ არის სერიოზული ადამიანი და პოლიტიკური თვალსაზრისით, მისი სერიოზულად განხილვა შეუძლებელია.

ვიცი, რომ ჩემი სიტყვები შეურაცხმყოფელად აღიქმება მისი მხარდამჭერების მიერ და არ მაქვს სურვილი, შეურაცხყოფა მივაყენო მათ, რომლებიც მას გულწრფელად მხარს უჭერენ. მეორე მხრივ, არ შეიძლება მოტყუება, კარგად დააკვირდნენ თავიანთ ლიდერს. როცა არაქმედუნარიან ადამიანს ქვეყანას წარუდგენენ, როგორც მომავალ ლიდერსა და მხსნელს, არ უნდა ეწყინოს ამ ხალხს, საზოგადოებისგან რატომ არიან გარიყულნი და რატომ მოიხსენიებენ სექტანტებად და მიშისტებად.

– დიახ, შეურაცხმყოფელი სიტყვებით აკრიტიკებთ სააკაშვილს...

– ოღონდ, ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს შედარება მის ადვოკატებს ეკუთვნით და ერთი წლის მანძილზე, თავად უმტკიცებდნენ მთელ მსოფლიოს, რომ დემენციით იყო დაავადებული.

– მე კი შეგახსენებთ, რომ საქართველოში ყველაზე მრავალამომრჩევლიანი პარტია სწორედ ამ ადამიანისაა... უნდა უწევდეს თუ არა ოპოზიცია ანგარიშს ამ ასპექტს, თუნდაც გაერთიანებით თვალსაზრისით? ენმ და ლელო გამოთქვამენ ინიციატივას, გახდნენ პოლიტიკური გაერთიანების პლატფორმა წინასაარჩევნოდ. რას იტყვით, ამ საკითხზე?

– პოლიტიკაში რეიტინგები არ ითვლება მარტო ისე, როგორც თქვით, რომ ყველაზე მეტი ამომრჩეველი ჰყავს ენმ-ს.

– არჩევნების შედეგებზე დაყრდნობით ვამბობ ამას, ბატონო კახა...

– არა, ეგრე არ ითვლება და აგიხსნით, რატომაც... ამომრჩევლების რაოდენობა ერთ-ერთი პარამეტრია. მეორე მნიშვნელოვანი პარამეტრია, არის თუ არა ეს რეიტინგი მზარდი. რამდენი ამომრჩეველიც არ უნდა ჰყავდეს ოპოზიციას, „ქართულ ოცნებას“ ჰყავს მეტი, ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ ოპოზიციის რეიტინგი იყოს მზარდი. ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი არის კლებადი და ყველა გამოკითხვა ადასტურებს იმას, რომ არ იზრდება მისი რეიტინგი. საქართველოში მიშისტი აწი აღარვინ გახდება, უბრალოდ, ვინც არის, არის. არის მესამე პარამეტრი, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი – ყველა ადასტურებს იმას, რომ ხელისუფლების დამარცხება შესაძლებელია მხოლოდ ოპოზიციური კოალიციით. რომ შეუძლებელია, ერთმა პარტიამ დღეს ხელისუფლება დაამარცხოს. შესაბამისად, ოპოზიციის რეიტინგები თუ ერთმანეთს არ ემატება, კოალიციის შექმნა შეუძლებელია. ყველა კვლევა ადასტურებს იმას, რომ ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი არავისთან არ ჯამდება. როგორც კი ნაციონალურ მოძრაობას ემატება რომელიმე სხვა პარტიის რეიტინგი, იმ პარტიის რეიტინგი ნულდება, რადგან ეს არის მიუკარებელი, ძირითადად, სიძულვილით განმსჭვალული სექტა, რომელსაც არ აქვს უნარი იმისა, რომ სხვა პოლიტიკურ ძალასთან გაერთიანდეს.

ჩვენ ხომ გვქონდა ეს მცდელობა 2020 წლის გაყალბებული არჩევნების შემდეგ და ნიკა მელიაც ბევრს ეცადა, რომ ასეთი კოალიცია შექმნილიყო... გაერთიანებული ოპოზიციის აქციაზე მიშას სურათები მოიტანეს. ასე რომ, ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი ვერასდროს გახდება 51%, არცერთი პარტია არ გაერთიანდება ენმ-სთან, რადგან დაკარგავს საკუთარ ამომრჩეველს.

– რომ ამბობთ, კოალიცია არის გადარჩენის გზაო, აბა, რომელ პარტიებს გულისხმობთ? თქვენ ვისთან განიხილავდით ამ საკითხს?

– ხომ გითხარით, არ ვარ აქტიურ პოლიტიკაში, რადგან მე თვითონ გავაკეთე არჩევანი, არ ვიყო „ქოცებისა“ და „ნაცების“ ბანაკში. ამიტომაც, თავიანთი ჭკუით, სანქციები დამიწესეს და ტელევიზიები არ მიწვევენ. ჰგონიათ, ცუდს მიკეთებენ, არადა, პირიქით – ძალიანაც კარგია ამ როლში ყოფნა. ამიტომ, მე ნუ მომთხოვთ კოალიციების შექმნას. ვინც ტელევიზიებში ყოველდღე იბრიქება, ივანიშვილს ხვალ და ზეგ დავამარცხებთო, იმათ ჰკითხეთ. მე გესაუბრებით გარე პოზიციიდან, რადგან არ მაქვს შესაბამისი რესურსი...

– ე.ი. ოპოზიციური გაერთიანების ხელშემშლელი ისევ პოლიტიკური ამბიციაა?

– პოლიტიკური ამბიციაც და გამოუცდელობაც. შეიძლება, პოლიტიკაში სხვაზე მეტი გამოცდილება მაქვს. ადამიანებისთვის, რომლებმაც ორი-სამი წლის წინ დაიწყეს აქტიური პოლიტიკა და რეალურ პოლიტიკურ ბრძოლაში არ მიუღიათ მონაწილეობა, რთულად შესაფასებელი ფაქტორებია. პოლიტიკაში ყოფნა არ ნიშნავს, როცა ვიღაცის თოჯინა ხარ. ვიღაცას თავისმა სიმამრმა რომ 20 მილიონი მისცა და დაარქვა, ვითომ, პარტიის თავმჯდომარეა და რასაც ეტყვის, იმას აკეთებს, ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკოსია. ძალიან ცოტაა ქართულ პოლიტიკაში ადამიანი, ვისაც პოლიტიკური გამოცდილება აქვს. ლელო რომ ახსენეთ, ეს არანაირი პოლიტიკური პარტია არ არის. უბრალოდ, ხაზარაძემ თავისი ბანკის ოფისს პარტიის აბრა გააკრა... რასაც ისინი პოლიტიკას ეძახიან, გარედან მაყურებელი ნებისმიერი ადამიანისთვის, უბრალოდ, სასაცილოა.

ლელა ჯეჯელავა: „კვლავ საბჭოთა მატრიცაში ვცხოვრობთ!“

„თუ ჩვენი ეკლესია არ გათავისუფლდა რუსული ეკლესიისა და რუსული პოლიტიკის გავლენებისგან, საფრთხე ყოველთვის იარსებებს“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ფესტივალი Tbilisi Pride, რომელიც თბილისში 8 ივლისს უნდა გამართულიყო, ჰომოფობიურმა ჯგუფებმა ჩაშალეს. აქციის მონაწილეებმა გზა გადაკეტეს და მიკროფონთან „ალტ-ინფოსა“ და სხვა რადიკალური, ჰომოფობიური დაჯგუფებების წევრები გამოდიოდნენ. მათი გზავნილი იყო ის ყბადაღებული თემები, როგორებიცაა, მაგალითად, „დასავლეთი ცდილობს საქართველო გარყვნას და ამისთვის ლგბტQ+ თემის მხარდამჭერ ორგანიზაციებს აფინანსებს“. გამომსვლელები ხშირად ახსენებდნენ „გლობალურ ომის პარტიას“, რომელიც, თურმე, ცდილობს, რომ ქვეყანა ომში ჩაითრიოს...
აღნიშნულ საკითხზე „ვერსია“ ანალიტიკოს ლელა ჯეჯელავასთან ინტერვიუს გთავაზობთ.

– ქალბატონო ლელა, რასთან გვაქვს საქმე – არის თუ არა აღნიშნული ჰომოფობიური გამოვლინება ხელშემშლელი ფაქტორი საქართველოს განვითარებისა, ევროინტეგრაციის გზაზე?

– რაც ვნახეთ, ეს იყო გამოვლინება სახელმწიფოსა და ეკლესიის მანკიერი ურთიერთობისა და სისტემის სისუსტისა. აგრესია, სიბრაზე, ამ ფორმით გამოხატული ემოციები იმას მოწმობენ, რომ საყრდენი სისტემას, პოლიტიკურად მიზანშეწონილი გადაწყვეტილებები მიიღოს და ისე ემოქმედოს, არ დარჩა. მხოლოდ ათასამდე კონტროლიდან გასული ადამიანის იმედად ყოფნა, რომელსაც საკუთარი ემოციების მართვა არ შეუძლია, სახელმწიფოს სად მიიყვანს, კარგად ვიცით.

არის მარტივი გამოსავალი, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც აბსოლუტურად გაცნობიერებული გვაქვს, რას ნიშნავს ჩვენთვის ამ ქვეყნის ევროპული მომავალი, გეგმაზომიერად უნდა მივყვეთ ამ გზას. არცერთ შემთხვევაში არ უნდა შევყვეთ მათ ძალადობის მოედანზე. ეს არის სრულიად გამორიცხული იმიტომ, რომ აქეთ მხარეს ბევრად მეტი რესურსია, რომ ამ ხელოვნურ დაპირისპირებაში მოვიპოვოთ გამარჯვება, რაც იქნება არა მარტო ჩვენი, არამედ, იმ საზოგადოების გამარჯვებაც, რომელიც ასე გააფთრებით გვიპირისპირდება. ამიტომ, ჩვენ გვმართებს სიმშვიდე, მეტი ფიქრი და მეტად გააზრებული ნაბიჯები, რაც მთავარია – კონსოლიდაცია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა საგრძნობლად უფრო ცოტაა, ვიდრე მომხრეებისა, ისინი არიან სრულად კონსოლიდირებულები და ამიტომ ჩანან უფრო ხმაურიანები. ჩვენ გვჭირდება კონსოლიდაცია და იმის ჩვენება, რომ ამ ტიპის გამოხტომები, არაცნობიერი და ჰუმანიზმის ჩარჩოდან გასული ქმედებები არის მოცემულობა და ამის მიუხედავად, მიზნისკენ უნდა ვიაროთ.

– ასეთ საკითხებს რუსეთი რომ ანტიდასავლური პრპაგანდისთვის იყენებს ჩვენნაირ ტრადიციულ ქვეყნებში, არახალია... როგორ უნდა გაარჩიოს რიგითმა მოქალაქემ, სად არის ჭეშმარიტი, გულწრფელი იდეა და სად – რუსული პროპაგანდა და ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტი?

– ჯერჯერობით, კვლავ ვცხოვრობთ საბჭოთა მატრიცაში, რადგან ჩვენზე რუსული პოლიტიკის გავლენა დიდია. რუსეთი არა მარტო იურიდიული სამართალმემკვიდრეა საბჭოთა კავშირისა, არამედ, მისი იდეური მემკვიდრეცაა. ამიტომაც, ჯერჯერობით, ვერ გავთავისუფლდით საბჭოთა მატრიცისგან, რადგან სისტემა, რომელიც საქართველოში მართავს პროცესებს, ამ მატრიცის ნაწილია.

საბჭოთა კავშირში არსებობდნენ „დანიშნული მტრები“, ასეთი იყო იმპერიალიზმი და კაპიტალიზმი. მთელი საბჭოთა სისტემა იდგა იმაზე, რომ დასავლურ იმპერიალიზმსა და კაპიტალიზმთან „ბრძოლაში“ ცდილობდა, შეენარჩუნებინა არსებობა, რადგანაც კარგად იცოდნენ საბჭოთა კავშირის იდეოლოგებმა და შემქნელებმა, რომ ამ ტიპის საზოგადოებას, რომელმაც უარყო ღრმერთი, თუ არა უმკაცრესი და უსასტიკესი ტოტალიტარიზმისა, სხვაგვარად ვერ შეინარჩუნებდნენ.

ახლა ეს სისტემა აგონიურ მდგომარეობაშია. რასაკვირველია, მტერი არის ისევ დასავლეთი და ყველა ის, ვინც თავს მოიაზრებს დასავლური ცივილიზაციის ნაწილად. ყველაზე საინტერესო ისაა, რატომღაც მიიჩნიეს, რომ ეს ლგბტQ+ თემზე შეტევა იქნება ყველაზე უფრო წარმატებული ისეთ კონსერვატორულ საზოგადოებაში, როგორიცაა საქართველო. თავად რუსეთში, ეს ძალიან გავრცელებული თემაა და მათ ნაკლებად აწუხებთ, რა ხდება ამ მიმართულებით. ლგბტQ+ საზოგადოების, ამ ყველაზე მცირერიცხოვანი და მოწყვლადი საზოგადოების მტრად დანიშვნა მიუთითებს, რომ ამ მგრძნობიარე თემით, ყურადღება გადავიტანოთ ნამდვილი მტრიდან ანუ რეალურად მტერი ვინცაა – რუსეთი, ოკუპაცია, ტოტალიტარიზმი... ამიტომ, ჩვენი ხელისუფლება, საეკლესიო და სასულიერო დიდი სიამოვნებით „გვინიშნავს მტერს“, რომ ყურადღება არ მივაქციოთ მცოცავ ოკუპაციას და იმას, თუ როგორ უიარაღოდ გვიპყრობს რუსეთი. თუ ასე გაგრძელდა, დემოგრაფიული ბალანსი შეიცვლება, რაც კარგად უნდა გავიაზროთ.

ამიტომ, პასუხი არა ლგბტQ+ თემის დაცვასთან დაკავშირებით უნდა გვქონდეს მხოლოდ, არამედ, იმ მთავარ პრობელემებზეც, რომლებისგანაც ჩვენი ყურადღების გადატანას ცდილობენ. დღის წესრიგში შემოგვიტანეს ეს თემა და ჰუმანური დამოკიდებულებიდან გამომდინარე, როცა მოწყვლად ჯგუფს ასეთი ველური ფორმით უპირისპირდებიან, გაქვს მძაფრი რეაქცია, რომ ამას წინააღმდეგობა უნდა გაუწიო, მაგრამ გამოდის, რომ ამათ მოედანზე შევდივართ სათამაშოდ. ეს არ უნდა გავაკეთოთ და არ უნდა მოვადუნოთ ყურადღება მთავარ პრობელემებზე ანუ ჩვენ უნდა შევუმქნათ დღის წესრიგი მათ და ყოველდღიურად გვყავდეს პრესინგის ქვეშ, ჩვენი დემოგრაფიული მდგომარეობის, მცოცავი ოკუპაციის, კონფლიქტურ რეგიონებთან არაგეგმაზომიერი პოლიტიკის, უკრაინასთან დამოკიდებულების გამო და არა ის, რომ ჩვენ ვიყოთ მათ მიერ შემოთავაზებული დღის წესრიგის რეაგირების რეჟიმში.

უნდა ვიპოვოთ მათი სუსტი ადგილები, თუმცაღა ვფიქრობ, რომ მათ ძლიერი ადგილი არ დარჩათ პოლიტიკაში და ამაზე უნდა გვქონდეს ყურადღება კონცენტრირებული. თუ ჩვენ შევყვებით აგრესიაში, იმავე ფორმით მოვიქცევით, როგორც ისინი იქცევიან, თუ ჩვენც ტროლ-ბოტების მეშვეობით უნდა დავიწყოთ მათთან ურთიერთობა, ეს სასურველ შედეგამდე ვერ მიგვიყვანს ანუ ალტერნატიული პოლიტიკური და ქრისტიანული დღის წესრიგი უნდა შევქმნათ ქვეყანაში.

– საუბრისას, ეკლესია და ქრისტიანობა არაერთხელ ახსენეთ და საინტერესოა, საპატრიარქოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს როგორ შეაფასებთ? გავრცელდა ინფორმაცია მეუფე შიოს შესაძლო მოწამვლასა და საპატრიარქოს დამლაგებლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. დაწყებულია გამოძიება და სიმართლეს შესაბამისი უწყებები დაადგენენ, მაგრამ თქვენი შეფასებაა საინტერესო – რა ვითარებაა დღეს, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში?

– საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში იგივე პროცესები მიმდინარეობს, როგორიც საქართველოს ხელისუფლებაში. ოღონდ, ხელისუფლებისგან განსხვავებით, საქართველოს ეკლესიაში ეს პროცესები მთელი 30 წელია, მიმდინარეობს. ის რჩება რუსული პოლიტიკის ფორპოსტად საქართველოში, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, მათ შორის, ეროვნული მოძრაობის პროცესიდანაც კი. კარგად ვიცით, როგორი იყო საპატრიარქოს დამოკიდებულება საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასადმი. ასე რომ, ეს არახალია, საქართველოს ეკლესია, ბოლო 30 წლის განმავლობაში, ყოველთვის უპირისპირდებოდა იმ პროცესებს, რაც საქართველოს რუსეთისგან თავის დაღწევას, რეალურ განვითარებას, სუვერენიტეტსა და დასავლურ ინტეგრაციას უკავშირდებოდა. ოღონდ, იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ხელისუფლება გვყავდა ქვეყანაში და რამდენად დიდი იყო მისი გავლენები, დებდა გარკვეულ შედეგებს.

ეს არის ძალიან სერიოზული შესწავლის საკითხი – რა როლი შეასრულა საქართველოს საპატრიარქომ 30-წლიანი დამოუკიდებლობის ისტორიაში და აღმოაჩენთ ბევრ შუქ-ჩრდილს, რაც ჩვენი ეკლესიის ადმინისტრაციის პოზიტიურ როლზე არ მეტყველებს. ესეც არის მოცემულობა და თუკი ეკლესიაში არ შეიცვალა დამოკიდებულებები და ჩვენი ეკლესია არ გათავისუფლდა რუსული ეკლესიისა და, შესაბამისად, რუსული პოლიტიკის გავლენებისგან, რამდენი ხელისუფლებაც უნდა შევცვალოთ, საფრთხე ყოველთვის დაგვრჩება.

ვინ არიან კაზინო „აჭარას“ მფლობელები

მაკა რუხაძე

უკვე რამდენიმე კვირაა, რაც თბილისის ცენტრში, კაზინო „აჭარაში“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ფულის გათეთრების საქმეზე გამოძიებას ატარებს. უწყებამ ჯერ კიდევ 5 ივნისს ამოიღო კაზინოდან კომპიუტერული ტექნიკა და სალარო აპარატი, რადგან გამოძიება მიმდინარეობს ხელმძღვანელი პირების მიერ, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის განზრახ თავის არიდების შესაძლო ფაქტებზე. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე და 218-ე მუხლებით. ცხადია, „ვერსია“ დაინტერესდა, ვინ არიან კაზინო „აჭარას“ მფლობელები, თუმცა ვიდრე კომპანიის 2021 წლის ანგარიშს გაგაცნობთ, აუცილებლად უნდა შეგახსენოთ, რომ 2009 წლის შემდეგ, „აჭარას“ მფლობელები რამდენჯერმე შეიცვალნენ და რაც მთავარია, პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც სწორედ ფულის გათეთრების შესაძლო, ან სავარაუდო ფაქტის გამო, კაზინოში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური შევიდა.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ფულის გათეთრების დაუსრულებელი ქრონიკის დეტალები

დავიწყოთ ოფიციალური ინფორმაციით, კაზინოს მფლობელების შესახებ. კომპანიის 2021 წლის ანგარიშგებიდან ვიგებთ, რომ ეს კაზინო 2000 წელსაა რეგისტრირებული. რომელიც 2016 წლის 11 თებერვლამდე, საფირმო სახელწოდებით – შპს „კაზინო აჭარა“, ფუნქციონირებდა. 2016 წლის 11 თებერვლიდან, რეგისტრაციაში ცვლილება შედის და ეწოდება შპს „სანშაინ“. რაც შეეხება მფლობელებს, ისინი ოფშორში რეგისტრირებული კომპანიები არიან. კერძოდ, კაზინოს 10%-იანი წილს ფლობს კვიპროსში რეგისტრირებული – Solna Leisure Honldings Limited, ხოლო 90%-იან წილს ფლობს ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული Gannado Wordlwide S.A.

როგორც ანგარიშგებაშია აღნიშნული, ამ უკანასკნელის – Gannado Wordlwide S.A.-ის 100%-იან წილს ფლობს შვედეთის მოქალაქე დავით იაკობაშვილი, ამიტომ „კაზინო აჭარას“ მფლობელიც თავად იაკობაშვილია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ 2013 წლის პუბლიკაციიდან ირკვევა, რომ დავით იაკობაშვილმა, Gannado Wordlwide S.A.-ის საშუალებით, 90%-იანი წილი „კაზინო აჭარაში“ 2011 წლის მაისში, 8.72 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა.

ოფიციალურ დოკუმენტში მითითებული არ არის, მაგრამ „ვერსიის“ მკითხველებმა კარგად იციან, რომ საქართველოში დავით იაკობაშვილი 2011 წლიდან ჩნდება – იმ დროიდან, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე, მანამდე ჩრდილში მყოფი მილიარდერი, ბიძინა ივანიშვილი გამოდის ახლადდაარსებული პარტიით „ქართული ოცნება“. სწორედ ამ პერიოდში იწყებს თავდაცვის ექს-მინისტრი, დავით კეზერაშვილი საკუთარი წილების გაყიდვას, მის მფლობელობაში არსებულ კომპანიებში. დიახ, სწორედ 2011 წლიდან გადადის დავით იაკობაშვილის ხელში კეზერაშვილის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის, „გალფი“, კაზინო „აჭარა“...

დავუბრუნდეთ ოფიციალურ ინფორმაციას, რომლითაც ვარკვევთ, რომ 2021 წლის ბოლოს, კაზინო „აჭარას“ წმინდა მოგება 4 275 840 ლარი იყო. ეს იმ დროს, როდესაც 2020 წელი, დაბეგვრის შემდეგ, კაზინომ 19 009 063-ლარიანი ზარალით დაასრულა. როგორც ფინანსურ დოკუმენტაციაშია მითითებული, შპს „სანშაინი“ შემოსავალს იღებს სამი ტიპის საქმიანობით: სამორინე, სათამაშო აპარატების სალონი და ბარ-რესტორანი.

2021 წელს მიღებული შემოსავლების 76% მოდის კაზინოს მაგიდებიდან მიღებულ შემოსავალზე, 22% – სათამაშო აპარატებიდან მიღებული შემოსავალია, ხოლო 2% – ბარ-რესტორნიდან. რაც შეეხება კონკრეტულ ციფრებს, 2021 წელს, კაზინო „აჭარამ“ სათამაშო მაგიდებიდან – 17 512 376 ლარის, სათამაშო აპარატებიდან – 5 072 109 ლარის, ბარ-რესტორნიდან კი – 355 555 ლარის შემოსავალი მიიღო.

როგორც სტატიის დასაწყისშიც აღვნიშნე, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც კაზინო „აჭარას“ წინააღმდეგ, გადასახადების თავის არიდებისა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზების ბრალდებით, საგამოძიებო მოქმედებები იწყება. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კაზინოს ირგვლივ, სკანდალი აგორდა. 2013 წლის დასაწყისში, პოლიტიკური პატიმრის სტატუსით გათავისუფლებულმა ივანე ჩიღვინაძემ კაზინოში საკუთარი წილი დაბრუნება მოითხოვა.

Google-ში იძებნება იმ პერიოდში, სწორედ ამ თემაზე გავრცელებული ინფორმაცია, რომელშიც ვკითხულობთ, რომ თავის დროზე, ივა ჩიღვინაძემ „აჭარაში“ მილიონი დოლარი ჩადო და მისი ერთ-ერთი მეწილე გახდა, მაგრამ 2009 წელს, როდესაც ბიზნესიდან პოლიტიკაში ჩაერთო, კერძოდ, გაერთიანებულ ოპოზიციას შეუერთდა, „აჭარას“ ყოფილმა მეპატრონე თემურ უგულავამ მასთან კონტრაქტი შეწყვიტა. ჩიღვინაძის ჩადებული ფული გაურკვეველ ანგარიშზე ჩარიცხა, რომელიც ამ უკანასკნელს არ მიუღია.

შეგახსენებთ, ივა ჩიღვინაძე 2011 წლის 26 მაისის ღამეს დააკავეს და პოლიტპატიმრის სტატუსით, ციხიდან მხოლოდ 2013 წელს გამოვიდა. ჩიღვინაძემ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ამ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, კაზინოს მოძრავი ქონება დააყადაღეს.

„2009 წელს, კაზინო „აჭარასთან“ სესხის ხელშეკრულება გავაფორმე, რის საფუძველზეც კაზინოს მეწილე გავხდი. ამავე წელს, „გაერთიანებული ოპოზიციის“ რიგებში შევედი, რასაც ჩემზე და ჩემს გარემოცვაზე დარტყმები მოჰყვა. „აჭარის“ მაშინდელი მფლობელის, თემურ უგულავას განცხადებით, კეზერაშვილმა და კოდუამ აიძულეს, რომ ჩემთან კონტრაქტი დაერღვია და თიბისი ბანკში, არარსებულ, ვითომ ჩემს ანგარიშზე გადაერიცხა ჩემ მიერ, კაზინოში შეტანილი ფული. თემურ უგულავა იმასაც ამბობს, რომ აიძულეს, კაზინო დავით იაკობაშვილისთვის მიეყიდა და ახლა, ჩემი მოსარჩელე მხარე დავით იაკობაშვილი გამოდის“, – აცხადებდა ივა ჩიღვინაძე 2013 წელს.

მეორედ, კაზინო „აჭარას“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური 2015 წლის აგვისტოში „ესტუმრა“. მაშინაც, საგამოძიებო უწყება კაზინოში ანალოგიური მოტივით შევიდა, რადგან „აჭარა“ სისტემატურად არიდებდა თავს გადასახადების გადახდას. მოგვიანებით, საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდეგ, შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, კაზინო „აჭარას“ 19 269 277 ლარის გადახდა დაეკისრა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური „სტარტაპ საქართველოს“ დაფინანსებული პროექტებით დაინტერესდა

რა დარღვევები გამოვლინდა სახელმწიფო პროგრამებში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური „სტარტაპ საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტებით დაინტერესდა. აუდიტის დასკვნა, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2016-2021 წლებში, პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების პროდუქტიულობასა და ეფექტიანობას ეხება. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო აუდიტორებმა მთელი რიგი დარღვევები გამოავლინეს, თუმცა ვიდრე ამ დარღვევებს გაგაცნობთ, შეგახსენებთ, რომ სტარტების განვითარებას ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთ ფაქტორად მიიჩნევენ. ეს იმიტომ, რომ მათი განვითარება ახალი ბაზრების, სავაჭრო გზების, სამუშაო ადგილების შექმნასთან და ბიზნესის უკეთესად მართვის შესაძლებლობის გაზრდას უკავშირდება. იმავდროულად, სტარტაპები ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რაც ქვეყნის დონეზე, კიდევ უფრო ზრდის ჯანსაღი სტარტაპ გარემოს შესაქმნელ სათანადო შესაძლებლობებს. სტარტაპ ბიზნესი ითვლება მაღალი რისკის მატარებელ მიმართულებად, თუმცა წარმატებული პროექტების შემთხვევაში, ამ პროექტებიდან მიღებული სარგებელი გაცილებით აღემატება მასზე გაწეულ დანახარჯებს.

შპს „სტარტაპ საქართველომ“ და სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ“, პროგრამით გათვალისწინებული მიზნების შესასრულებლად, არაერთი აქტივობა განახორციელეს, თუმცა სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, რიგი საკითხები კვლავ აქტუალურია და სათანადო ღონისძიებების გატარება სჭირდება. ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა „სტარტაპ საქართველოსა“ და „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ დაფინანსებულ პროექტებში.

ხარვეზები პროგრამის მიზნობრივ მაჩვენებლებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ პროგრამა „სტარტაპ საქართველოს“ ფარგლებში, მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულია პროგრამის მიზნები და ბიუჯეტი, თუმცა არ არის გაწერილი, რა პერიოდში უნდა მოხდეს აღნიშნული თანხების ათვისება, ხოლო პროგრამის მიზნები ზოგადია და არ მოიცავს კონკრეტული სამიზნე მაჩვენებლების განმარტებას.

„მართალია, თავისი შინაარსით, სტარტაპების დაფინანსება მრავალი განუსაზღვრელობის არსებობის პირობებში, მაღალი რისკების მატარებელ სფეროდ მოიაზრება, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა დროის შესაბამის პერიოდში ითვალისწინებდეს ბიუჯეტის განაწილებას და მისაღწევი შედეგების უფრო კონკრეტულ და გაზომვად მაჩვენებლებში ასახვის შესაძლებლობას. ეს იმიტომ, რომ ხელი შეეწყოს პროგრამის მიმდინარეობის შეფასებასა და დასახული მიზნების ეფექტიან მიღწევას“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო მაკონტროლებლების მტკიცებით, პროექტის ფარგლებში დაფინანსდა არაერთი წარმატებული, თუ წარუმატებელი პროექტი, თუმცა შპს „სტარტაპ საქართველოსა“ და სსიპ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ არ შეუფასებიათ, აღნიშნული შედეგები რამდენად უზრუნველყოფდა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას. მიზეზი ისაა, რომ დადგენილებით არ განუსაზღვრავთ პროგრამით მისაღწევი მიზნებისა და შედეგებისთვის გასათვალისწინებელი გაზომვადი ინდიკატორები.

„ჯანსაღი და კონკურენტული სტარტაპ გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად, ინვესტიციების მოსაზიდად და ქვეყნის პოტენციალის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია, არსებობდეს სტარტაპებთან დაკავშირებული სისტემური და სტრუქტურირებული მიდგომები. ქვეყანაში არ არსებობს სტარტაპ სუბიექტების შესახებ ერთიანი განმარტება, შედეგად, რთულია დადგინდეს, რეალურად, როდის და რა პერიოდით ვრცელდება მეწარმე სუბიექტზე აღნიშნული სტატუსი; ასევე, არ იწარმოება სტარტაპების შესახებ ერთიანი მონაცემები, მათი აქტივობების, დაფინანსების, ფინანსური შედეგების, საქმიანობის პერიოდისა და სხვა დეტალების შესახებ, რაც ხელს შეუწყობდა სტარტაპების მიმართულებით, ქვეყანაში არსებული ძირითადი მიმართულებების ანალიზს, ინვესტორების მოზიდვასა და მომავალი ტენდენციების პროგნოზებს“.

ხარვეზები პროექტების დაფინანსებაში

აუდიტის მიმდინარეობისას, გამოვლინდა დაფინანსებული სტარტაპების მიერ აქტივების მართვასთან დაკავშირებული ოთხი პრეცენდენტი. კერძოდ, აქტივების დაზიანება; აქტივების რეალიზაცია პარტნიორთა შეთანხმების გარეშე; აქტივების შეძენა; შემდგომი ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ტექნიკური უზრუნველყოფის გარეშე და მათზე წვდომის შეზღუდვა.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ პროექტების დაფინანსებისას, შპს **„სტარტაპ საქართვე-**

დასასრული მე-8 გვერდზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური „სტარტაპ საქართველოს“ დაფინანსებული პროექტებით დაინტერესდა

Andrey Popov/Shutterstock.com

მე-7 გვერდიდან

ლო“ ერთგვაროვან მიდგომას იყენებს, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი პროექტი კლასიკური ბიზნესის გაუმჯობესებული ვერსიაა, რაც გარკვეულწილად, პროექტების წარუმატებლად განხორციელების რისკების შესამცირებლად, მეტი გათვლებისა და პროგნოზების შესაძლებლობას ქმნის.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული სტარტაპ პროექტები მაღალი რისკის შემცველია, რასაც „სტარტაპ საქართველოს“ დაფინანსების ფარგლებში წარუმატებელი პროექტების რაოდენობაც ადასტურებს, სადაც ყველაზე მაღალი წილი მოდის IT პროექტებზე. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ IT პროექტებზე გაწეული ხარჯების უმეტესი ნაწილი მოდის დეველოპერულ პროცესებზე, რისი რეალიზაციაც, თანხების მობილიზების მიზნით დაფინანსებული სტარტაპის წარუმატებლობის შემთხვევაში, ნაკლებად მოსალოდნელია. აღსანიშნავია, რომ სს „საპარტნიორო ფონდის“ მონიტორინგისა და შიდა აუდიტის ყოველკვარტალურ და წლიურ ანგარიშებში გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, 2017 წლიდან, შპს „სტარტაპ საქართველოს“ მიერ IT პროექტები არ დამტკიცებულა“.

პროექტის დაწყებიდან ანუ 2016 წლიდან დღემდე, ცალკეული პროექტის დასაფინანსებლად განკუთვნილი 100 000 ლარის დღევანდელი ღირებულება, სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორების, მათ შორის, ფასების ზრდისა და ინფლაციის გათვალისწინებით, შემცირებულია, რაც პროგრამით დასახული მიზნების სათანადოდ შესრულების რისკებს ზრდის.

ხარვეზები დაფინანსებული პროექტების მონიტორინგში

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, პროგრამის მიზნების სათანადოდ და ეფექტიანად განხორციელების ხელშესაწყობად, მართვა და მონიტორინგი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. შპს „სტარტაპ საქართველო“ დაფინანსებული პროექტების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, გარკვეული სახის ღონისძიებებს ატარებს, თუმცა აუდიტის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, დამატებითი ქმედებებიც უნა განხორციელდეს:

„შპს „სტარტაპ საქართველო“ არ ამზადებს წლიური საქმიანობის შესახებ ერთიან ანგარიშს, სადაც აისახებოდა სრულყოფილი და შეჯამებული ინფორმაცია პროექტების ფარგლებში დასაქმებულების შესახებ, თუმცა პერიოდულად აწარმოებს ბენეფიციარ კომპანიებში დასაქმებულთა შესახებ სტატისტიკას; სტარტაპების საქმიანობის ვიზუალური დათვალიერების პროცესი არ იყო სათანადოდ შემუშავებული, შედეგად რთული იყო დადგენა, თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე ხდებოდა მონიტორინგისთვის სტარტაპების შერჩევა. აღსანიშნავია, რომ აუდიტის ანგარიშის დამტკიცებამდე, შპს „სტარტაპ საქართველომ“, ადგილზე, პროექტების მონიტორინგის კრიტერიუმების შემუშავება დაიწყო, რომლის ფარგლებშიც გამოსცა ბრძანება და განახორციელა ადგილზე ვიზიტები; შპს „სტარტაპ საქართველოს“ მიერ არ არის შემუშავებული საკმარისი აქტივობები ისეთ პროექტებზე, რომელთაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეჩერებული აქვთ საქმიანობა, ან ვერ უზრუნველყოფენ მოგების მიღებას; პროგრამის მიმდინარეობის პროცესში ორ პროექტს გაუხანგრძლივდა ხუთწლიანი ვადა, რაც არ იყო სათანადოდო დასაბუთებული, თუმცა 2022 წლის ბოლოდან, აღნიშნული საკითხის დარეგულირების მიზნით, დაწყებულია შესაბამისი პროცედურები“.

აქედან გამომდინარე, არსებობს რისკები, რომ შპს „სტარტაპ საქართველომ“ დროულად ვერ გამოავლინოს პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები და, შედეგად, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ზომები ვერ მიიღოს.

ხარვეზები პროექტების მართვაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ, პროგრამა „სტარტაპ საქართველოს“ ფარგლებში, ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური დამწყები კომპანიების განვითარების ხელშესაწყობის მიზნით გამოვლენილი გამარჯვებული 20 პროექტიდან, მიმდინარე პერიოდში გამოსყიდულია ორი პროექტი.

„პროექტის მიმდინარეობის პროცესში, სტარტაპ კომპანიები, სააგენტოსთან შეუთანხმებლად ახორციელებდნენ ბიუჯეტის ცვლილებას, რაც ვერ ჩაითვლება კარგი პრაქტიკის მაგალითად, ვინაიდან აღნიშნული ზრდის არამიზნობრივი ხარჯების გაწევის შესაძლებლობას და წარმოშობს პროექტების არაეფექტიანად განხორციელების რისკებს; სააგენტოს მხრიდან დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი არ ატარებდა სისტემატურ ხასიათს, ხოლო მონიტორინგის ფარგლებში, არ ხდებოდა სტარტაპებისგან პირველადი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნა და მათი ადგილზე პერიოდული მონიტორინგი, რაც კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებებზე მიუთითებს“.

შესაბამისად, სააგენტო არ არის სათანადოდ ინფორმირებული პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, რაც არ აძლევს საშუალებას, დროულად გამოავლინოს პროექტის შესრულებასთან დაკავშირებული ის რისკები, რამაც შესაძლოა, პროექტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას ხელი შეუშალოს.

მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური დამწყები კომპანიების დაფინანსება, მათი ბუნებიდან გამომდინარე, მაღალი რისკის მატარებელია, მნიშვნელოვანია, სააგენტოს შემუშავებული ჰქონდეს დაფინანსებული პროექტების შემდგომი განხორციელების მონიტორინგის ისეთი სისტემა, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს მათი მიზნების მიღწევასთან დაკავშირებულ რისკებს.

სამართალი

№25 12 ივლისი 2023 წ

საბედისწერო რადიაციული კაპსულა, რომელმაც ბავშვი იმსხვერპლა

გრიფით „საიდუმლო“ საქმის უცნობი დეტალები



ბათო ჯაფარიძე

ადრე კორპუსებს ქალაქი პატრონობდა, ახლა კი ამხანაგობები შეიქმნა და თუ რამის გაკეთება სურთ, ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეთანხმებით, აკეთებენ, არემონტებენ, რაღაცებს ცვლიან, ითხოვენ... ახლა კორპუსები მაცხოვრებლების საკუთრებაა და ყველა ისე უვლის, როგორც ახერხებს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი კორპუსის მაცხოვრებლები მივიდნენ პოლიციის განყოფილებაში და განაცხადეს, რომ ამხანაგობის თავმჯდომარემ, მათთან შეთანხმების გარეშე, კორპუსის სახურავი იჯარით ერთ-ერთ კავშირგაბმულობის კომპანიას მისცა, რომელმაც უზარმაზარი ანტენები დააყენა, რის შედეგადაც კორპუსის მაცხოვრებლები რადიაციას უჩიოდნენ და ასაბუთებდნენ კიდეც, სიმსივნით 3 ადამიანი უკვე გარდაიცვალა, ერთ ოჯახში კი ბავშვი და დედა არიან უმძიმეს დღეშიო.

ერთი შეხედვით, ყველაფერი ეს იმ მითს ჰგავდა, ნებისმიერი ანტენა მომაკვდინებელ რადიაციას რომ გამოსცემს და ამიტომ, სამართალდამცავებმა წაუყრუეს, განცხადება კი დაიტოვეს, მაგრამ იმდენად ბევრი საქმე ჰქონდათ, რომ მოკვლევა არ დაიწყეს, თუმცა მომხდარიდან ორ თვეში ყველაფერი თავდაყირა დადგა – იმავე კორპუსის მაცხოვრებლებმა პოლიციის განყოფილება ლამის შტურმით აიღეს, რადგან სიმსივნით სწორედ ის ჩვილი გარდაიცვალა, რომლის ჯანმრთელობაზე პირველად ყოფნის დროს საუბრობდნენ. რა თქმა უნდა, ძალოვნებმა მოკვლევა დაუყოვნებლივ დაიწყეს. კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარის გარდა, მაცხოვრებლები ერთ-ერთ უცნაურ ბინადარზეც წუწუნებდნენ, რომელიც სახლში მუდმივად რაღაც ნაგავს ეზიდებოდა და როგორც ამბობდნენ, მთელი სახლი სწორედ ამ ნაგვით ჰქონდა გამოტენილი. „ნაგავში“ რაღაც მიკროსქემები, გაფუჭებული ტელევიზორის და სარეცხი მანქანის ნაწილები იგულისხმებოდა. მეზობლის მიერ გაფუჭებული და გადაგდებული „მაუსიც“ კი შინ წაიღოო, – ამბობდნენ. გამომძიებლებმა, პირველ რიგში, სწორედ მას მიაკითხეს.

„ადამიანებმა ძველი ნივთების გამოყენება არ იციან, მით უმეტეს მათი, რომელსაც სქემა და მეტალი აქვს. მე ამ ნივთებს ვშლი, ყველა მეტალს ვაძრობ, ვაგორვებ, მერე ვაბარებ. ეს უზარმაზარი შემოსავალია. სქემებში არცთუ იშვიათად მხვდება ვერცხლი, ხანდახან -ოქროც, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც. ესენი კიდევ გიჟს მეძახიან. სხვა შემოსავალი არ მაქვს და რა გავაკეთო?“ – განაცხადა ძველმანების შემგროვებელმა.

ძალოვნებმა ამის შემდეგ, ამხანაგობის თავმჯდომარე მონახეს, რომელმაც ამაყად განაცხადა, მე შესაბამისი განათლება მაქვს და ამ ხალხს ვერ ავუხსენი, რომ კავშირგაბმულობის ანტენები რადიაციას არ იწვევს და ამიტომ, მათი დადგმა უსაფრთხოა. თანხმობის სანაცვლოდ, მე თანხა არ ამიღია, თუმცა გავაფორმე ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, სწორედ ეს კომპანია ჩვენი კორპუსის სახურავს 5 წელიწადში ერთხელ უფასოდ შეაკეთებს. ამას გარდა, უახლოეს დღეებში ეზოში არსებულ მოედანზე საფარს გამოცვლის და ესეც სრულიად უსასყიდლოდ. ამხანაგობის თავმჯდომარემ სამართალდამცავებს ხელშეკრულება წარუდგინა და მართლაც, იქ ყველაფერი ისე ეწერა, როგორც თქვა. გამოდიოდა, რომ მას არც ფინანსური ინტერესი ჰქონდა, არც ქრთამი აუღია და საერთოდ, იქცეოდა ისე, რომ კორპუსისთვის მეტი სარგებელი მოეტანა. რაც შეეხება გარდაცვილი ბავშვის მდგომარეობას...

„ბავშვი ცუდად, დაახლოებით, ორი წლის წინ გახდა და დაავადება პროგრესირებდა. სამწუხაროდ, სიმსივნის წინააღმდეგ მედიცინა უძლურია და ამ შემთხვევაშიც, ვერ მოვერიეთ უკურნებელ სენს. ვფიქრობთ, ეს რაღაც მემკვიდრეობითია, რადგან სიმსივნის იგივე ნიშნები დედასაც აქვს, მასაც ვმკურნალობთ და მამაც უჩივის რაღაცებს“, – განაცხადეს ექიმებმა.

გამომძიებლები დაიბნენ, აღარ იცოდნენ, რა ერქნათ. აქეთ ექიმები ამტკიცებდნენ, ჩვეულებრივი ამბავიაო, იქეთ ამხანაგობის თავმჯდომარეს პრაქტიკულად უტყუარი დოკუმენტი ჰქონდა, რომ სარგებლის მიღებას არ აპირებდა. სამაგიეროდ, ლამის მთელი კორპუსი აპროტესტებდა, ხალხი სიმსივნით იხოცება და ანტენა მოაშორეთო. არადა, ანტენაც კანონის სრული დაცვით იყო დაყენებული, კორპუსის მაცხოვრებლების იმ რაოდენობას, რომელიც საჭირო იყო, თანხმობა წერილობით ჰქონდა მიცემული, მაგრამ მთელი უბედურება ის გახლდათ, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა კორპუსში ბინას ფლობდა, თუმცა იქ არ ცხოვრობდა და აქირავებდა. ოფიციალურად, საეჭვო არსად არაფერი არ იყო, სტატისტიკაც კი გადაამოწმეს სამართალდამცავებმა და გაარკვიეს, რომ განსაკუთრებული შემთხვევა ამ კორპუსს არ აღენიშნებოდა, სამწუხაროდ, სიმსივნით სხვაგანაც იღუპებოდნენ, უბრალოდ, ამ ჯერზე, ერთმანეთს დაემთხვა ორი მოხუცი და ბავშვი, რომლის მშობლებიც ასევე, სიმსივნის დიაგნოზით იყვნენ და საავარაუდოდ, ეს მემკვიდრეობითი იყო. თანაც, ეს ოჯახი იმ ბინაში, დაახლოებით, 2 წლის წინ გადავიდა, მანამდე ვინც ცხოვრობდა, ის ქალიც გარდაიცვალა, შვილმა კი ბინა გაყიდა და არც ამაში იყო უცნაური რამე. გამომძიებლებმა კორპუსის მაცხოვრებლებს ბოდიში მოუხადეს, კრიმინალის ნიშნებს ვერ ვხედავთო და დაემშვიდობნენ, თმცა ყველაფერი ამით არ დასრულებულა – მესამე დღეს, საქმეში პროკურატურა ჩაერთო, რადგან კორპუსის მაცხოვრებლებმა ამჯერად პროკურატურაში იჩივლეს. პროკურატურამ კორპუსის რადიაციაზე შემოწმება მოითხოვა, რადგან შსს-ს პრაქტიკულად ყველა სამუშაო ჩატარებული ჰქონდა და მხოლოდ ეს იყო დარჩენილი. თუ რადიაციაზე შემოწმება შედეგს არ მოიტანდა, სამართალდამცავები ველარაფერს იზამდნენ. მოიყვანეს სპეციალურად აღჭურვილი ადამიანები, რომლებმაც ჯერ სარდაფი შეამოწმეს, შემდეგ სახურავი და როცა ვერაფერი ნახეს, უკან ჩამობრუნდნენ. ბედის ირონიით, რადიაციის შესამოწმებელი აპარატი გამორთული არ იყო და სადარბაზოშში, ერთ-ერთ ბინასთან, აპარატმა ხმაური დაიწყო. ექსპერტებმა ერთმანეთს გადახედეს – მათ კარგად იცოდნენ, ეს ხმა რას ნიშნავდა და მაშინვე შესაბამისი სკაფანდრები გადაიცვეს. რადიაცია იმ სართულზე აღინიშნებოდა, სადაც გარდაცვლილი ჩვილის ოჯახი ცხოვრობდა. ბინის მეპატრონეები შინ იყვნენ და რაღა თქმა უნდა, სპეციალისტები ბინაში უპრობლემოდ შეუშვეს.

„აღმოჩენილია 5-მილიმეტრიანი კაფსულა, რომელიც რადიაციას გამოსცემდა. მცირე ზომის მიუხედავად, ეს კაფსულა საათში 200 რენტგენს ასხივებდა, რაც ძალიან ბევრია“, – იტყვიან მოგვიანებით სპეციალისტები.

რაღა თქმა უინდა, რადიაციის კერის აღმოჩენისთანავე, საქმეს გრიფით საიდუმლო დაედო და შესაბამის უწყებაში გადამისამართლდა. სათანადო ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, დადგინდა ის დაწესებულებაც, საიდანაც ეს კაფსულა გაიტანეს. მცირე ზომის მიუხედავად, ყველა კაფსულას თავის სერიული ნომერი ჰქონდა და დაწესებულების ხელმძღვანელებსაც, რამდენიმე წლის წინ შესაბამისი პატაკი ჰქონდათ დაწერილი, რომლითაც კაფსულის მოპარვის ფაქტს ადასტურებდნენ. ვის შეიძლებოდა გაეტანა მკაცრად დაცული ობიექტიდან რადიაქტიული ნივთიერება და რაც მთავარია, ვინ უნდა გასწორებოდა ასე სასტიკად ოჯახს? სამართალდამცავებმა კორპუსის მაცხოვრებელთა სია გადამოწმეს და მისი ერთ-ერთი ბინადარი სწორედ აღნიშნულ დაწესებულებაში მუშაობდა, თუმცა სამსახური ორი წლის წინ დატოვა. საოცარი ის იყო, რომ მას იქ მცხოვრებ ოჯახთან კვეთის წერტილი არ გააჩნდა, ამიტომ, წესით, მოტივიც არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ გამოძიებამ დაადგინა, რომ მამაკაცი სახლის წინა ბინადარ ქალბატონს იცნობდა ძალიან კარგად. საავარაუდოდ, სწორედ მის მოსაკლავად იყო განკუთვნილი კაფსულა. ძალოვნებმა ეჭვმიტანილი დააკავეს.

„რა აზრი აქვს დამალვას? კაფსულა მე მოვიპარე და იმ ქალსაც მე დავუდე სახლში. მიზეზი მარტივია – თავის დროზე მაგ ქალმა ცხოვრება დამინგრია, აბსოლუტურად ყველაფერი წამართვა, რაც გამაჩნდა და ქუჩაში მომისროლა. ეს ბინა შვილმა მიყიდა, რომელიც ევროპაში ცხოვრობს და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დამემართებოდა, აქ რომ დავინახე? სიცილით მითხრა, თუ გინდა, ჩემთან ისევ გაერთე, ოღონდ ფრთხილად იყავი, ეგ ბინაც არ დაკარგოო. შურისძიება მაშინვე განვიზრახე, იქვე მივახრჩობდი, მაგრამ არა, მას უნდა ეწვალა და წამებით მომკვდარიყო. ამიტომ, ის კაფსულა მოვიპარე, შინ ვესტუმრე, შევრიგდეთ-მეთქი და პლინტუსის უკან ჩავაგდე. მას შემდეგ სტუმრად აღარ მივსულვარ, სამაგიეროდ, ვაკვირდებოდი, ყოველდღიურად როგორ მიდიოდა უკან და უკან და საბოლოოდ ჩაძაღლდა კიდეც. როცა ამ ბინაშ სხვა ოჯახი გადმოვიდა, მათაც ვესტუმრე, მინდოდა, კაფსულა წამომეღო, მაგრამ ველარ ვიპოვე, პლინტუსის უკან კი ჩავანათე ფანრით, მაგრამ არაფერი ჩანდა. ოჯახს ვუთხარი, ხურდა ჩამივარდა-მეთქი, სხვა რა უნდა მეთქვა. გაეცინათ, ჩვენ მოგცემთო და მეც ველარაფერი მოვიფიქრე. მეგონა, დროთა განმავლობაში, რადიაცია ძალას დაკარგავდა, მაგრამ მერე, როცა გავიგე, რომ ბავშვი გაუხდათ ცუდად, შემეშინდა, ზედ არ დამაკლან იმ კაფსულას-მეთქი და ხმა არ გამიღია. არ მეგონა, თუ იმ მცირე დეტალს რაიმე ნომერი ჰქონდა, ზედ არაფერი ეტყობოდა“, – განაცხადა დაკავებულმა.

სამწუხაროდ, ბავშვის დედის გადარჩენაც ველარ მოხერხდა, მამა კი ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ, როგორღაც დაუსხლტა სიკვდილს.

ვინ მოწამლა სამი თვის ფეხმძიმე ქალი

მეგობრის შურისძიება – სისხლიანი სასიყვარულო სამკუთხედი

ბათო ჯაფარიძე

პოსტსაბჭოთა სივრცეში, განსაკუთრებით, რუსეთსა და უკრაინაში, ომის დაწყებამდე მაინც, დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ კომპანიები, რომლებიც მეგობრებისთვის სიურპრიზების მოწყობაზე მუშაობდნენ. მაგალითად, შეუკვეთავ ამ კომპანიას მეგობრის დაბადების დღეზე რამე ექსტრემალურს და ისინიც ასრულებენ. ვთქვათ, იტაცებენ იუბილარს, ეუბნებიან, რომ კრიმინალები არიან, რომ გამოსასყიდის მიზნით მოიტაცეს... ან პოლიციის ფორმაში გამოწყობილები აკავებენ და ეუბნებიან, რომ ის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი, იქვეა მოწმე, რომელიც ხელს ადებს და დაბეჯიებით ამბობს, რომ მკვლელი სწორედ ისაა. ყველაფერ ამას ფარულად იღებენ, შემდეგ კი, როცა ობიექტი სიგიჟის ზღვრამდე მივა, ეუბნებიან, რომ გაეხუმრნენ. ერთგვარი ფარული კამერა ბევრს მოსწონს, ბევრს პირიქით – აღიზიანებს, მაგრამ ფაქტია, ასეთი შეკვეთის მიღება რუსეთში, ათასი დოლარიდან იწყება და სირთულის მიხედვით, რამდენიმე ათასსაც აღწევს. ყოფილა შემთხვევა, როცა ვიღაც გაუტაცებიათ, მერე თვითმფრინავში აუყვანიათ, ვითომ სხვა ქალაქში გადასაფრენად, ჰაერში თვითმფრინავი „გაფუჭებულა“ და „გამტაცებელთან“ ერთად, პარაშუტით გადმომხტარა. კომპანიები ასეთ რამეს არ აკეთებენ გულით ავადმყოფებთან, ასაკოვანებთან და რაც მთავარია, მაქსიმალურად ცდილობენ, ექსტრემალური გართობა ბოლომდე დააზღვიონ.

ერთი პერიოდი, ფარული კამერა საქართველოშიც პოპულარული იყო, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა იღებდა ფარულ სიუჟეტს. სანამ ყველაფერი ახალი იყო, სცენარზეც მუშაობდნენ, აზრიან სიტუაციებსაც იგონებდნენ, შემდეგ კი იმდენად ბანალური და მარტივი გახდა ყველაფერი, პრაქტიკულად, არცერთმა ტელევიზიამ აღარ ისურვა მათი ეთერში გაშვება. ისე, დღესაც შეიძლება, ფარული კამერა ხარისხიანი სიუჟეტით გაკეთდეს და ამის გამკეთებლებიც არიან, მაგრამ ტელევიზიების მხრიდან ინტერესი განულებულია და მხოლოდ კორპორატიულ საღამოებზე თუ ეპატიჟებიან აღნიშნული პროფესიის ადამიანებს.

ჰოდა, სწორედ მაშინ, როცა საქართველოში ფარული კამერების ბუმი იყო და ვისაც არ ეზარებოდა, ნიჭიერი თუ უნიჭო, ყველა რომ დგამდა, რამდენიმე ადამიანმა კომპანია შექმნა, სადაც ახლობლების „გასაშაყირებლად“ იღებდნენ შეკვეთებს და ფასიც უმნიშვნელო ჰქონდათ – 500 ლარი. სამაგიეროდ, დღეში რამდენჯერმე უწევდათ გასვლა და ცუდი დახლი არ ედგათ. ერთი ეგ იყო, დიდი ფანტაზიით ვერ დაიკვეხნიდნენ და მათი საქმიანობა ვინმესთან სახლში დაუპატიჟებლად მისვლა, სიმღერა, ან წყლის შესხმა იყო. ხანდახან, ვიღაცას ქუჩაში უმიზეზოდ აუშარდებოდნენ, დაკუნთული ბიჭები იყვნენ და ობიექტი ბოლომდე ვერ „ახურებდა“, მოკლედ, ვისთვის სასაცილო იყო, ვისთვის წვალება. ჰოდა, სწორედ ამ კომპანიას უჩივლა ერთმა ქალბატონმა, შვილი ისე შემიშინეს, გულის შეტევა დაემართა და საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალაო. რა თქმა უნდა, საქმე მაშინვე აღიძრა და კომპანიის წარმომადგენლები პოლიციაში დაიბარეს, თუმცა მათ მხრები აიჩეჩეს, ჩვენ შეკვეთა შევასრულეთ, არავის უთქვამს, რომ იმ გოგოს გულის პრობლემები ჰქონდაო. არადა, გოგონას მართლაც, სერიოზული პრობლემა ჰქონდა – გულის თანდაყოლილი დაავადება, რის გამოც, მუდივად წამალს იღებდა. თუ შეკვეთის მიმღებებმა ამის შესახებ არ იცოდნენ, ძალიან კარგად იცოდნენ მისმა მეგობრებმა, რომლებმაც ყველაფერი მისი დაბადების დღისთვის დაგეგმეს ანუ გოგოს დაქირავებული „ანიმატორები“ ნიღბებით სადარბაზოში დახვდნენ, გოგოს პირზე ხელი ააფარეს და ოქროულობა მოსთხოვეს, შემდეგ უბრძანეს, მუხლებზე დადექი და თავი დახარეო. ის ასეც მოიქცა და როცა უთხრეს, თავი აეწია, მეგობრების გაღიმებული სახეები და ბუშტები დაინახა.

„გოგონა ამ ხუმრობაზე ძალიან გაბრაზდა, კინაღამ გული გამისკდაო – უსაყვედურა მეგობრებს, შემდეგ ჯერ ერთს გადაეხვია, მერე მეორეს, მესამეს და ჩაიკეცა. გულის წასვლა არავის გაჰკვირვებია, ალბათ, შეეშინდაო, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, ვიღაცამ სასწრაფო გამოიძახა, რომელიც ადგილზე, დაახლოებით, სამ წუთში მივიდა, გზად მიდიოდნენ და მოაბრუნეს მანქანა. სწორედ სასწრაფოს ექიმმა თქვა, რა გულის წასვლა, შეტევა აქვსო, საკაცით მანქანაში შეტენეს და გაქანდნენ. მეტი არაფერი ვიცით, ის, რომ გოგონა გარდაიცვალა, თქვენგან ახლა გავიგეთ“, – თქვეს კომპანიის თანამშრომლებმა.

გამომძიებლებმა სასწრაფოს ექიმის დაკითხვა გადაწყვიტეს, მაგრამ მან ბევრი ვერაფერი თქვა, ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ მოგვიკვდა და პათანატომს ჰკითხეთ, თუ არ ვცდები, გაკვეთისას, რაღაც უცნაური ნახაო. პათანატომმა მართლაც უცნაური რამ თქვა – გოგონას გულის შეტევა იმიტომ დაემართა, რომ მიიღო პრეპარატი, რომელიც არ უნდა მიეღო, რადგან იმ წამალთან, რომელსაც პათოლოგიის გამო, ყოველდღიურად სვამდა, ახლად მიღებული პრეპარატი რეაქციაში შედის და სიკვდილს იწვევს და მიკვირს, როგორ არ იცოდაო. თუმცა, მან ისიც დააყოლა, შეიძლება, გოგონას უბრალოდ, ლამაზად სიკვდილი სურდა, რადგან, როგორც დედამისმა თქვა, შვილის ორსულობის შესახებ არაფერი იცოდა, არადა, ის სამი თვის ორსული იყოო. ის, რომ გოგონა ორსულად იყო, არც მეგობრებმა იცოდნენ ანუ მათ, რომლებმაც ყველაფერი მოაწყვეს. იფიცებოდნენ კიდეც, რა შეშინება, რომ გვცოდნოდა, ორსულად იყო, მაგას როგორ ვიზამდითო და მართლაც, წესით, მეგობრებს ასეთი სტრესისთვის ორსული არ უნდა გაემეტებინათ.

„ჩემი უახლოესი მეგობარი იყო, ბავშვობიდან ერთად მოვდივართ. მომავალი მეუღლე მის სამსახურში გავიცანი, ბოლომდე ერთად მუშაობდნენ, ქორწილი ორ კვირაში მაქვს, მეჯვარე უნდა ყოფილიყო. თითქოს ერთმანეთს ყველაფერს ვეუბნებოდით, მაგრამ ორსულობაზე ჩემთან სიტყვაც არ დასცდენია“, – განაცხადა ერთ-ერთმა მეგობარმა. დედას ნამდვილი შოკი ჰქონდა, იმასაც კი ამბობდა, ეგებ, ექსპერტიზა შეცდა, როგორ შეიძლებოდა, ჩემი გოგო ორსულად ყოფილიყო და მე ეჭვითაც კი არაფერი მცოდნოდაო. დედას ისიც უკვირდა, მე თუ არ გამიმხილა, უახლოეს მეგობარს რატომ არ უთხრა ორსულობის შესახებ, გოგონებმა ხომ ერთმანეთში საიდუმლოს თქმა იციანო.

გამომძიებელი გარდაცვლილის სამსახურშიც წავიდა, სადაც გოგო ყველამ დადებითად დაახასიათა, ძალიან კარგი თანამშრომელი იყო, თავის საქმეს საუკეთესოდ ასრულებდა, ალბათ, ამის გამოც იყო, მივლინებაში მუდმივად მას რომ უშვებდნენო. მივლინების თემამ სამართალდამცავები განსაკუთრებულად დააინტერესა და მათ მოძიება დაიწყეს, სად იმყოფებოდა გარდაცვლილი მივლინებაში ბოლოს და ვისთან ერთად. არ იყო გამორიცხული, რომ სწორედ მივლინების დროს გააბა ვინმესთან ურთიერთობა და ორსულადაც სწორედ მაშინ დარჩა. დოკუმენტებით გაირკვა, რომ ბოლოს გოგონა მივლინებაში სამი თვის წინ, მისი მეგობრის საქმროსთან ერთად იმყოფებოდა. სასტუმროში, სადაც ისინი გაჩერდნენ, პერსონალი გამოკითხეს და გამომძიებლების გასაკვირად, მათ ეს წყვილი ძალიან კარგად ახსოვდათ.

„ისინი კარგი მეგობრების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. ერთ საღამოს, ბიჭი ძალიან დათვრა, გოგონამ ძლივს აათრია ნომრამდე, შემდეგ, ყვირილი შემოგვესმა და ავედით. გოგონა ტანსაცმელშემოხეული იდგა და ყვიროდა, კაცი კი მასზე ძალადობას ცდილობდა. გადავწყვიტეთ, პოლიცია გამოგვეძახებინა, მაგრამ უარი თავად დაზარალებულმა თქვა, ჩემი მეგობრის საქმროა, სიმთვრალით მოუვიდა, ვერ გავწირავო. იმ საღამოს ყველაფერი მშვიდად დასრულდა, თუმცა დამლაგებელი ამტკიცებდა, მომხდარიდან ორი დღის შემდეგ, როცა დილით ბიჭის ოთახში შევედი, გოგონა აბაზანიდან გამოვიდა, ცოტა შეცბუნებული იყოო“, – ეს ის არის, რაც სასტუმროს თანამშრომლებმა თქვეს.

საქმრო, როგორც მთავარი ეჭვმიტანილი, მაშინვე დააკავეს, თუმცა მან ხელები გაასავსავა, იმ გოგოსთან სექსი ნამდვილად მქონდა, ორსულად თუ იყო, არ ვიცოდი, მაგრამ არ მომიკლავსო. სამაგიეროდ, გოგონას დედამ გაიხსენა, სანამ დაბადების დღის სიურპრიზს მოუწყობდნენ, ჩვენთან მისი საუკეთესო მეგობარი იყო სტუმრად, ყავა დალიეს და ის მალე წავიდა. გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ გარდაცვლილს ყავაში წამალი სწორედ მისმა მეგობარმა ჩაუყარა, მოტივი კი მარტივი იყო – ის როგორღაც მიხვდა, რომ საქმროსა და მეგობარს შორის, რაღაც მოხდა. სამართალდამცავებმა ამჯერად გოგონა დააკავეს.

„დიახ, მე ჩავუყარე წამალი, ინტერნეტში მისი დაავადების შესახებ ათას რამეს ვნახულობდი, ვკითხულობდი, ვეხმარებოდი და ამას მხოლოდ მისი გულისთვის ვაკეთებდი. სწორედ იქიდან ვიცოდი იმ წამლების ჩამონათვალი, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეღო. მე მირეკავდა ხოლმე, ესა თუ ის წამალი შეიძლებოდა თუ არა და მეც ვეუბნებოდი. როცა მივლინებიდან დაბრუნდნენ, აშკარად ვატყობდი, რომ ორივეს რაღაც დაემართა, ეჭვი მღრღნიდა, მაგრამ მტკიცებულება არ მქონდა. ბოლოს, ორი დღის წინ, როცა სტუმრად ვიყავი, ორსულობის დადებითი ტესტის პასუხი შემთხვევით ვნახე, მივხვდი, ვისიც იყო და ვისგანაც იყო ორსულად. ამიტომ, ძალიან მშვიდად გავაკეთე ის, რაც გავაკეთე და ამას არ ვნანობ“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ „ერთგულ მეგობარს“ განზრახ მკვლელობის მუხლით წაუყენა ბრალი და მას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. საქმე იმის გამო დამძიმდა, რომ მკვლელმა დაზუსტებით იცოდა, მისი მსხვერპლი ორსულად რომ იყო.

ბათო ჯაფარიძე

საქართველოში დღემდე ბევრს დაობენ, უნდა იყოს თუ არა ნებადართული აზარტული თამაშები. მოსახლეობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ სლოტ-კლუბები და კაზინოები უნდა აიკრძალოს, რადგან სწორედ ამ დაწესებულებებმა არა მარტო ათასობით ადამიანის პირადი ცხოვრება და ქონება შეიწირა, არამედ, არაერთმა ათეულმა ადამიანმა ცხოვრება სუიციდით დაამთავრა. „ლუდომანია“ – ასეთი ტერმინით მოიხსენებენ ექიმები ამ დაავადებას და პირები, რომლებიც თამაშზე არიან დამოკიდებულნი, ნარკომანებისგან თითქმის არაფრით განსხვავდებიან. ისინიც მუდმივად ფულს ეძებენ, მუდმივად ცდილობენ, „დიდი კუში“ მოხსნან, შინაგანად სწამთ, რომ ერთ დღეს, აუცილებლად გაუმართლებთ და უზარმაზარ თანხას მოიგებენ, რაც მათ მილიონერებად აქცევთ, მაგრამ საქართველოში აზარტული თამაშებით არავინ გამდიდრებულა, თუმცა ბევრი შეძლებული ადამიანი კი სოციალურად დაუცველად, სწორედ ლუდომანიის შედეგად იქცა. ერთ-ერთი კაზინოს მენეჯერი ამბობდა, ჩვენთან ასეთი წესია – „ხან წააგებ, ხან ისევ წააგებ, ბოლოს ძალიან გაგიმართლებს და ყველაფერს წააგებ“. ეს ერთგვარი, მწარე ირონია, გნებავთ, შავი იუმორი რეალობასთან ძალიან ახლოს დგას.

სათამაშო ბიზნესი... სკოლაში

როგორ დააავადა ინფორმატიკის მასწავლებელმა მოსწავლეები ლუდომანიით

გაგიკვირდებათ და, ლეგალური სათამაშო კლუბების გარდა, საქართველოში არალეგალური სლოტებიც არსებობს. რატომ? იმიტომ, რომ გადასახადები ძალიან დიდია, ლიცენზია მილიონები ღირს და ამიტომ, ადამიანები ცდილობენ, ყველაფერ ამას გვერდი აუარონ და არალეგალური ბიზნესი აწარმოონ. თავად განსაჯეთ, ოფიციალურად, გასულ წელს, აზარტული თამაშების ბრუნვამ 17 მილიარდი ლარი შეადგინა ანუ დაახლოებით, იმდენი, რაც საქართველოს წლიური ბიუჯეტია.

რამდენიმე წლის წინ, საქართველოს ერთ-ერთი დიდი ქალაქის, ერთ-ერთი სკოლის დამამთავრებელი კლასის ორი მოსწავლე გაუჩინარდა. რა თქმა უნდა, სამართალდამცავები ფეხზე დადგნენ და მათზე ძებნა გამოაცხადეს. იმავე კლასის კიდევ ერთი მოსწავლე, საკუთარი კორპუსის უკან, ავტოფარეხთან უმოწყალოდ ნაცემი იპოვეს და საავადმყოფოში გააქანეს, თუმცა გონზე მოსვლის შემდეგ, მან პოლიციას ახალი ვერაფერი უთხრა – თავს ნიღბიანი უცნობები დამესხნენ, ტელეფონის წართმევა სურდათ და არ მივეციო. ერთი შეხედვით, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ უბნის ლოთი, რომელიც იმ დროს სწორედ ავტოფარეხთან „აბირჟავებდა“, ამტკიცებდა, მთვრალი ვიყავი, მაგრამ ნიღბიანები არ დამინახავს, ბიჭთან ორი კაცი მართლაც მივიდა, ჯერ რაღაცაზე ესაუბრებოდნენ, შემდეგ კი ცემა დაუწყესო. იმის მიუხედავად, რომ მოწმე ყველაფერს დაბეჯითებით ამბობდა, სამართალდამცავებს მის სიტყვებში ეჭვი მაინც ეპარებოდათ, რადგან მაშინაც და ახლაც პიროვნება ისეთი მთვრალი იყო, რომ მისი სიტყვების დაჯერება რთული გახლდათ.

დაკარგული ბიჭებიდან ერთ-ერთი მამის გარეშე იზრდებოდა და სწორედ დედამისმა უთხრა გამომძიებელს, არ ვიცი, ჩემს შვილს რა უჭირს, მაგრამ სახლში თუ რამე ძვირფასეულობა გვქონდა, სულ წაღებულია, ბევრი არაფერი იყო, მაგრამ რაც იყო, გამქრალიაო. გამოკითხვის შემდეგ, მეორე ბიჭის მშობლებმაც აღიარეს, რომ ძვირფასეულობა მათი სახლიდანაც გაქრა. გაგიკვირდებათ და, ამ ამბის გაგებამ გამოძიებას შვება მოჰგვარა, რადგან ეს იმას ნიშნავდა, რომ ბიჭები სადღაც გაიპარნენ, ისინი არავის გაუტაცებია და არც არავის მოუკლავს. ყოველი შემთხვევისთვის, პოლიციამ ნაცემი ბიჭის მშობლებიც გამოჰკითხა, ძვირფასეულობა თქვენთანაც ხომ არ გაქრაო, მაგრამ მათ თავი გააქნიეს. უცნაურობა კი, რომელიც შვილს შენიშნეს, ის იყო, რომ მან ბოლო ორ კვირაში, ორი ტელეფონი დაკარგა და მშობლებმა მესამე უყიდეს – ის, რომლის წართმევაც უშედეგოდ სცადეს თავდამსხმელებმა. სამართალდამცავებმა გადაამოწმეს და გაარკვიეს, რომ ტელეფონები დაკარგული არ იყო და ბიჭს საკუთარი პირადობით ჰქონდა ჩაბარებული ლომბარდში. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბოლო ორ კვირაში, სკოლის მოსწავლეს იმდენი ფული დასჭირდა, რომ ჯერ ერთი ტელეფონი ჩააბარა, შემდეგ მეორე – სულ ახალი ნაყიდი და რაც მთავარია, მშობლებს ეს ყელაფერი დაუმალა. ძალოვნებმა ბიჭს არაფერი უთხრეს, გადაწყვიტეს, მის გამოჯანმრთელებას დალოდებოდნენ და თვალთვალი დაეწყოთ. გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან არა მარტო იცოდა, რა დაემართათ გამქრალ ბიჭებს, არამედ, მათი ადგილსამყოფელიც და ისიც, რისთვის სჭირდებოდათ თანხა.

ცოდვა გამხელილი სჯობსო და, სამართალდამცავებმა ეჭვი სათამაშო აპარატებზე მიიტანეს, მაგრამ არასრულწლოვნების შეშვების ფაქტი არ დადასტურდა. ოფიციალური კლუბები არასრულწლოვნებს უზარმაზარი ჯარიმის შიშით არ უშვებდნენ, არალეგალური კი... არალეგალური სათამაშო აპარატები ქალაქში არ იყო, ყოველ შემთხვევაში, პოლიციამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. ნაცემ ბიჭთან დაკავშირებულმა ჩანაფიქრმა არ გაამართლა – გამოჯანმრთელების მიუხედავად, ის სახლიდან არ გამოდიოდა და არც მასთან მიდიოდა ვინმე. სკოლაში კი ცნობა წარადგინეს, ვითომ, ბიჭი მძიმედ იყო და სამართალდამცავებმა მალევე გაარკვეს, რომ ექიმმა ცნობა „ჯიგრულ-ქართულ პონტში“ გასცა. ამიტომ, მისი დაკითხვა გადაწყდა, თუმცა ხალხში მითქმა-მოთქმა რომ არ გამოეწვიათ, შინ ეწვივნენ და მშობლების თანდასწრებით დაკითხეს. დედ-მამამ გაოცებისგან პირი დააღეს, როცა მათმა სანიმუშო და უწესიერესმა შვილმა აღიარა, რომ ტელეფონები კი არ დაკარგა, არამედ, დაალომბარდა, ფული კი, უბრალოდ, სჭირდებოდა. რა თქმა უნდა, პოლიციაც და მშობლებიც კარგად ხვდებოდნენ, რომ ამ ასაკში, დიდი ფული „უბრალოდ“ არავის სჭირდება და დაკითხვა ცოტა გაამკაცრეს, მაგრამ ბიჭმა მეტი არაფერი თქვა. გამომძიებლები უკან გაწბილებული დაბრუნდნენ, თუმცა მშობლებმა დააიმედეს, რამეს აუცილებლად ვათქმევინებთო. ვერც მშობლების დანაპირები აღმოჩნდა მყარი – შვილს ვერაფერი დააცდენინეს, მაგრამ სამართალდამცავებს მაშველად ერთ-ერთი გაუჩინარებული ბიჭის შეყვარებული მოევლინათ.

„მე ვიცი, რისთვის სჭირდებოდათ ბიჭებს ფული. ისინი სლოტებს თამაშობდნენ და თამაშობდნენ მუდმივად. არ ვიცი, სად დადიოდნენ სათამაშოდ, მაგრამ ჩვენს სკოლაში ბევრი თამაშობს და ისიც ვიცი, რომ სხვა სკოლის ბავშვებიც თამაშობენ, ოღონდ, არ ვიცი, სად. ჩემმა შეყვარებულმა მითხრა ერთხელ, ფული თუ არ ვიშოვე, მომკლავენ, წაგებული მაქვსო. 1 200 ლარს ეძებდა და გამიკვირდა კიდეც, ამდენი როგორ წააგე-მეთქი და შენ არ იციო“, – განაცხადა გოგონამ.

გამოდიოდა, რომ ქალაქში არალეგალური სლოტ-კლუბი არსებობდა, მაგრამ სად? აგენტურულ ქსელს ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა და რაც მთავარია, თავად სამართალდამცავებიც ვერ ხვდებოდნენ, სად შეიძლებოდა დაემალათ ასეთი დაწესებულება ისე, რომ ვერავის ვერაფერი გაეგო. რამდენიმე საეჭვო ობიექტი კი გადაამოწმეს, მაგრამ ამაოდ. გადაწყდა, სკოლის სხვა მოსწავლეებისთვისაც ეთვალთვალათ და შედეგიც მალე მიიღეს. გაკვეთილების შემდეგ, შებინდებულზე, მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი სკოლაში ბრუნდებოდა, უკანა შესასვლელით შედიოდა და იქ ჩერდებოდა. შუქი არსად ენთო და თავიდან სამართალდამცავები ვერ მიხვდნენ, სად უჩინარდებოდნენ ბავშვები, შემდეგ ყურადღებით დააკვირდნენ და შენიშნეს, რომ ერთ-ერთი ოთახიდან მკრთალი შუქი გამოდიოდა. გაარკვიეს, რომ ის ინფორმატიკის ოთახი იყო, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ, ბოლო მოდელის კომპიუტერებით აღჭურვეს. გამოდიოდა, რომ არალეგალური სლოტ-კლუბი... პირდაპირ სკოლაში იყო.

მეორე დღეს, სკოლაში სათამაშოდ, შესაბამისი აპარატურით აღჭურვილი ბიჭი მივიდა, რომელსაც გარეთ სამართალდამცავები ელოდნენ. მან ყველაფერი გადაიღო, რაც იქ ხდებოდა, შემდეგ კი ტელეფონი ამოიღო და მშვიდად თქვა – დაიწყეთ! სკოლის შენობაში სპეცდანიშნულების რაზმის წევრები შევიდნენ.

„მასწავლებლის ხელფასით შორს რომ ვერ წავიდოდი, მივხვდი. როცა ახალი კომპიუტერები მოგვიტანეს, შევამოწმე და გავარკვიე, რომ ისინი სლოტების პროგრამის ჩატვირთვას აიტანდნენ. მუდმივად მესმოდა, როგორ საუბრობდნენ არასრულწლოვნები თამაშებზე და ამიტომ, გადაწყვეტილება მარტივად მივიღე, მაგრამ როცა აგებდნენ, მეუბნებოდნენ, დღეს მოვიტან, ხვალ მოვიტანო. ამიტომ, ორი ბიჭი დავიქირავე, რომლებიც ფულის ამოღებას კურირებდნენ და საკმაოდ კარგადაც. ისინი, დამალულები რომ არიან, ცოცხლები იქნებიან, ფული წააგეს, 3 000-3 000 ლარი. ჯერ ერთი, მერე მეორე, მერე მესამე და ამიტომაც გაიქცნენ, ლაწირაკები, თუ გადახდის ერთი ადგილი არ გაქვს, რატომ თამაშობ? ისე, ჩემთან მოიგეს კიდეც ბიჭებმა, შეგიძლიათ, მოიკითხოთ და ძალიან ბედნიერებიც იყვნენ“, – განაცხადა დაკავებულმა ინფორმატიკის მასწავლებელმა, რომელიც არალეგალური სლოტ-კლუბის მთავარი სულისჩამდგმელი იყო.

დაწესებულებამ სულ რაღაც ორი თვე იარსება, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქალაქის სამმართველოს პოლიციის უფროსი მოეხსნათ, რომელიც ვერ მიხვდა, რა ხდებოდა მის ქალაქში და წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ სკოლაში კაზინო გაუხსნეს. იმის მიუხედავად, რომ სკოლის დირექტორი ირწმუნებოდა, არაფერი ვიცოდიო, თანამდებობა მანაც უხმაუროდ დატოვა, ინფორმატიკის მასწავლებელს კი... ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

საქალაქო სასამართლომ, „ვაკის პარკში“ მომხდარი ტრაგედიის საქმეზე ბრალდებული ცხრა პირიდან, რვას პატიმრობა შეუფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ, „ვაკის პარკში“ მომხდარი ტრაგედიის საქმეზე ბრალდებული ცხრა პირიდან მხოლოდ ერთი, ვალერი გობეჯიშვილი გაამართლა, დანარჩენ რვას კი პატიმრობა შეუფარდა.

საქმეზე გადაწყვეტილება მოსამართლე ლაშა კლდიაშვილმა მიიღო.

უფრო კონკრეტულად, თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ:

„გრინსერვისი +“-ის დირექტორს ლაშა ფურცხვანიძეს – ექვსი წლით, მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ვახტანგიშვილის – სამი წლით, დევი კახოიძეს – სამი წლით, ნუგზარ ქიტიაშვილს – სამი წლითა და ექვსი თვით, დავით თუშიშვილს – სამი წლითა და ექვსი თვით, გიორგი გობეჯიშვილს – ოთხი წლით, ლაშა ჭიღიტაშვილს – სამი წლით და ბექა მურღვლიანს – სამი წლით, ვალერი გობეჯიშვილი კი გამართლდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში, ვაკის პარკში მომხდარ ტრაგედიაზე საქმის წარმოება ორ ეპიზოდად გაიყო. მეორე ეპიზოდებზე განხილვა არ დასრულებულა.

ცნობისთვის, 2022 წლის 13 ოქტომბერს, ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის შედეგად, 13 წლის მარიტა მეფარიშვილი გარდაიცვალა, ორი მოზარდი – ანდრია ლორთქიფანიძე და ლაზარე ლობჟანიძე კი დაშავდა.

დაკავებულებიდან ნაწილს ბრალი დაუმძიმდა. კერძოდ, „გრინსერვისი +“-ის დირექტორ ლაშა ფურცხვანიძეს, უხარისხო სამუშაოების შესრულების ფაქტზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და ორი ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია (სსკ-ის 251-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი), ასევე ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი); „გრინსერვისი +“-ის თანამშრომელს დევი კახოიძეს – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებაში წაქეზების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ-ის 25,362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ'' ქვეპუნქტი); „მშენ-ექსპერტი“-ს დირექტორს ნუგზარ ქიტიაშვილსა და ამავე კომპანიის ექსპერტს დავით თუშიშვილს – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

ბრალდება წარედგინა „ნიუ მეტალ დიზაინის“ წარმომადგენელს – 220-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით (გულგრილობა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია); „ნიუ მეტალ დიზაინის“ მიერ დაქირავებულ ორ ხელოსანს – 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სამუშაო წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია).

პოლიციამ კახეთში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამამძიმებელ გარემოებაში, ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, 2003 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ო.თ. დააკავეს.

დანაშაული 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაგაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მამას – 1964 წელს დაბადებულ მ.თ.-ს, ცივი იარაღით სასიკვდილო დაზიანება მიაყენა.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლით მიმდინარეობს.

საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის წარმომადგენლები ეწვივნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს ევროკავშირის (EU) მიერ დაფინანსებული პროექტის – „სამართალდამცავი უწყებები ცენტრალურ აზიაში (LEICA)“ – წარმომადგენლები ეწვივნენ. სტუმრებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დირექტორმა გიორგი თვაურმა და დეპარტამენტის სხვა წარმომადგენლებმა უმასპინძლეს.

ვიზიტში მონაწილეობდნენ ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის საჯარო უწყებების საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურების ხელძღვანელი პირები.

პროექტის წარმომადგენლებმა და დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ბალისტიკური ექსპერტიზის, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის, ბიოლოგიური ექსპერტიზის, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფარმპრეპარატების ექსპერტიზის, ჰაბიტოსკოპიური, ფოტო-ვიდეო ექსპერტიზის, გრაფიკული და დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის, კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიების ექსპერტიზის ლაბორატორიები და ბალისტიკური ტირი, ასევე, დეტალურად გაეცნენ დეპარტამენტის მუშაობის პრინციპსა და სპეციფიკას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი განთავსებულია თანამედროვე სტანდარტების ახალ შენობაში. დეპარტამენტის ლაბორატორიებს მინიჭებული აქვთ აკრედიტაცია ISO17025 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

ლეგენდა, სახელად – ნინო!

მესამე ევროპულ თამაშებზე, ტყვიის მსროლელ ქალებს შორის, ნინო სალუქვაძემ მეოთხე ადგილი დაიკავა და კარიერაში მეათედ მოიპოვა ოლიმპიური ლიცენზია. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ევროპულ თამაშებზე მხოლოდ ერთი ლიცენზია თამაშდებოდა და ის ჩემპიონს უნდა რგებოდა, მაგრამ როგორც ჩემპიონს, ასევე მეორე და მესამე ადგილებზე გასულებს, ლიცენზია უკვე ჰქონდათ და ნინოს ლიცენზიისთვის მეოთხე ადგილიც ეყო.

რას ნიშნავს ეს? დავიწყოთ იმით, რომ ოლიმპიადა 4 წელიწადში ერთხელ იმართება და 54 წლის სალუქვაძე ამ ტურნირზე მეათედ მიდის. მსოფლიო სპორტის ისტორიაში, არცერთ, ვიმეორებთ, არცერთ ქალბატონს არ მოუხერხებია 10 ოლიმპიადაზე გამოსვლა და ამას პირველად ჩვენი მსროლელი გააკეთებს.

რეალობასთან ახლოს – მამარდაშვილი „ბაიერთან“ დააკავშირეს

ევროპაში ახალი სეზონი აგვისტოში იწყება, მანამდე კი კლუბები გაძლიერებას ცდილობენ. ვიღაც ჰყიდის, ვიღაც ყიდულობს და ამ ორომტრიალში ქართული გვარებიც ისმის. უპირველესად კი გიორგი მამარდაშვილის, რომლის გადაბირების სურვილიც არაერთ გუნდს აქვს და სწორედ ამიტომ, ქართველი მეკარის წარმომადგენლები ხან ესპანეთში არიან, ხან – ინგლისში და ხანაც – გერმანიაში. ევროპული მედია ამტკიცებს, მამარდაშვილის გადაბირებით მიუნხენის „ბაიერნია“ დაინტერესებული და მხარეებმა ერთი შეხვედრა უკვე გამართეს კიდეც.

„ერთადერთი, რაც გერმანულ მხარეს არ მოსწონს, ქართველი მეკარის ფასია. „ვალენსიას“ მის სანაცვლოდ, ყველაზე ცოტა, 25 მილიონი ევროს მიღება სურს, „ბაიერნი“ კი მხოლოდ 15 მილიონის გადახდაზეა თანახმა. თუმცა, თუ უახლოეს მომავალში, ბავარიელებმა ახალი მეკარე ვერ მონახეს, იძულებულები გახდებიან, მამარდაშვილში 25 მილიონი გადაიხადონ“, – წერს გერმანული მედია.

რეალურად, „ბაიერნი“ მართლაც ურთულეს დღეშია. გუნდის ძირითადმა კიპერმა და კაპიტანმა მანუელ ნოიერმა, გასული წლის ნოემბერში ფეხი მოიტეხა და ვარჯიში ჯერაც არ დაუწყია. ამასთან, 27 მარტს, ნოიერი 37 წლის გახდა და მასზე გრძელვადიანი გათვლის გაკეთება ძნელია. მეორე და მესამე მეკარეები, შესაბამისად, იან ზომერი და ალეკსანდრ ნიუბელი კი გუნდიდან უკვე წავიდნენ ანუ ჩემპიონატი დღეს რომ დაწყებულიყო, „ბაიერნის“ ხელმძღვანელობას მეკარის აყვანა ბავშვთა გუნდიდან მოუწევდა. სწორედ ეს ზრდის მამარდაშვილის ბავარიელთა რიგებში გადასვლის შანსს და თუ ეს მოხდება, გიორგი გახდება პირველი ქართველი ფეხბურთელი, ვისაც მიუნხენური გრანდის ძირითადში თამაშის შესაძლებლობა ექნება.

ქართული კლუბებისთვის ევროთასები იწყება

12 ივლისს, ახალი საკლუბო სეზონი იღებს სტარტს. ჩემპიონთა ლიგისა და კონფერენს ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ოთხი ქართული გუნდი გამოვა. ჩემპიონთა ლიგით დავიწყოთ. თბილისის „დინამოს“ მეტოქე ყაზახური „ასტანაა“ და 12 ივლისს, პირველ შეხვედრას მოქმედი ჩემპიონი ყაზახეთში გამართავს. სამწუხაროდ, ამ წყვილში ფავორიტად „ასტანაა“ მიჩნეული, ეს იმიტომ, რომ იყო დრო, როცა ქართული კლუბები ყაზახებს ასტრონომიული ანგარიშით უგებდნენ და კითხვას, ვინ იყო ფავორიტი, არავინ სვამდა.

13 ივლისს, ქუთაისში, „ტორპედო“ ბოსნიურ „სარაევოს“ მიიღებს, გორის „დილა“ სლოვაკეთში, „დუნაი სტრედას“ სტუმრობს, ხოლო ბათუმის „დინამო“ ალბანეთში, „ტირანას“ ჩააკითხავს. ისევ და ისევ ვიტყვით, რომ მეტოქესთან შედარებით, ყველა ქართული კლუბი აუტსაიდერად მოიაზრება და ბევრი იმასაც ამბობს, რომ შესაძლოა, ოთხივე ქართულმა კლუბმა ევროთასებზე გამოსვლა პიურველივე საკვალიფიკაციო ეტაპზე დაასრულოს. რა და როგორ იქნება, მალე ვნახავთ, მაგრამ იმის თქმა კი ნამდვილად შეგვიძლია, რომ ევროთასებისთვის, ოთხივე ქართული კლუბი, მეტ-ნაკლებად, გაძლიერდა – ახალი მოთამაშეები დაიმატეს და ღმერთმა ქნას, ყველაფერი ეს, სასიკეთოდ წაგვადგეს.

ევროპის ჩემპიონი ინგლისი გახდა

ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოც მონაწილეობდა და ჩვენი ბიჭები ღირსეულადაც გამოვიდნენ, დასრულდა. ფინალური შეხვედრა ინგლისსა და ესპანეთს შორის, ბათუმში შედგა და მას 20 ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო. მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა და ინგლისმა მინიმალური სხვაობით, 1:0 იმარჯვა. 40 წლის შემდეგ, ნისლიანი ალბიონის წარმომადგენლებმა, ეს პირველად მოახერხეს.

საინტერესოა, რომ ინგლისელმა ახალგაზრდებმა ექვსივე შეხვედრა ისე ჩაამთავრეს, საკუთარ კარში გოლი არ გაუშვიათ. ამის შანსი ესპანეთს, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ჰქონდა, მაგრამ მათ პენალტი ვერ გამოიყენეს – მეკარემ აიღო და გუნდს ოქროს მედლები მოუტანა.

პსჟ ლუის ენრიკეს ჩააბარეს... მბაპეს გარეშე

მას შემდეგ, რაც რასისტული გამონათქვამების გამო, „პარი სენ ჟერმენის“ მთავარი მწვრთნელი, კრისტოფ გალტიე დააკავეს, პარიზელებმა ახალი თავკაცის ძიება დაიწყეს და მალევე იპოვეს. ყველაზე ტიტულოვანი ფრანგული გუნდი ლუის ენრიკემ ჩაიბარა და კონტრაქტი 2025 წლამდე გააფორმა. რაღა თქმა უნდა, ესპანელ სპეციალისტს მთავარ მიზნად ჩემპიონთა ლიგის მოგება დაუსახეს, მაგრამ ამის გაკეთება ძალიან გაუძნელდება. მოგეხსენებათ, კლუბი უკვე დატოვა ლიონელ მესიმ, ხოლო ყველაზე მაღალანაზღაურებადი და მთავარი მეგოლე, კილიან მბაპე ჩემოდნებზე ზის და სხვა გუნდში გადასვლის მოლოდინშია.

საქმე ის გახლავთ, რომ მბაპემ, რომელსაც მოქმედი კონტრაქტი მომავალი წლის ზაფხულში უმთავრდება, უკვე განაცხადა, რომ ხელშეკრულების გაგრძელებას აღარ აპირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მას წელს არ გაყიდიან, გაისად უფასოდ წავა. მბაპეს შეძენის სურვილი მადრიდის „რეალს“ აქვს და მზად არის, 150 მილიონიც გაიღოს, ფრანგებს კი 200 მილიონის მიღების იმედი აქვთ. მოვლენები რომ დააჩქაროს, მბაპემ პარიზულ მედიასთან მიცემულ ინტერვიუში შემდეგი თქვა:

„პსჟ? აქ ბედნიერი არავინაა, ეს არის ორად გაყოფილი, დაშლის პირას მყოფი კლუბი, სადაც თანაგუნდელები ერთმანეთს პატივს არ სცემენ“.

ამ განცხადების შემდეგ, პარიზული გუნდის ექვსმა ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მბაპეს გვერდით არ ითამაშებს.

ვან დერ საარი სიკვდილს ებრძვის

ლეგენდარული ჰოლანდიელი მეკარე, ედვინ ვან დერ საარი მძიმე დღეშია. ის ხორვატიაში, ოჯახთან ერთად ისვენებდა, როცა ტვინში სისხლის გაჟონვა დაემართა და სამედიცინო ვერტმფრენით სპლიტის კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც რეანიმაციულ განყოფილებაში, მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. უახლოესი დღეები მისი ჯანმრთელობისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება და თან ეს იმის ფონზე, რომ ექიმები ვვერანაირ პროგნოზს ვერ აკეთებენ.

არადა, როცა მიმდინარე წლის მაისში, ვან დერ საარმა „აიაქსის“ გენერალური დირექტორის პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა, ყველას გაუკვირდა. ვეტერანმა მეკარემ განაცხადა, გადავიღალე, დასვენება მჭირდებაო და როგორც ჩანს, ჯანმრთელობის პრობლემა გაზაფხულიდან აწუხებდა.

ნეიმარი 3.3 მილიონით დააჯარიმეს

ძალიან კარგია, როცა კანონი ყველასთვის კანონობს და მნიშვნელობა არ აქვს, მას ვინ არღვევს. გასულ კვირას, კანონის უზენაესობის მაგალითი ბრაზილიის გარემოსდაცვითმა სამსახურმა აჩვენა. ორიოდე თვის წინ, ისინი დღეისთვის ყველაზე პოპულარული ბრაზილიელი ფეხბურთელის, ნეიმარის სახლში მივიდნენ და განუცხადეს, რომ სახლის ტერიტორიაზე, ხელოვნული ტბა დარღვევებითა და რაც მთავარია, უნებართვოდ ჰქონდა მოწყობილი. ყველაფრის მოგვარება-გამოსწორებისთვის ნეიმარს ორთვიანი ვადა მისცეს და აუხსნეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, მას კანონის სრული სიმკაცრით აგებინებდნენ პასუხს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ნეიმარმა გარემოსდაცვითი სამსახურის სტუმრობა და მათ მიერ დატოვებული 46-გვერდიანი განმარტება ფეხებზე დაიკიდა, თავი არ შეიწუხა და მკაცრადაც დაისაჯა. ორთვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, გარემოსდაცვითი სამსახური მას ისევ ეწვია, ის 46-გვერდიანი რეკომენდაციები გადაუკითხა და აუხსნა, რომ თითოეული დარღვევის გამო, ფეხბურთელს ჯარიმის გადახდა მოუწევდა, რამაც საბოლოოდ, 3.3 მილიონი დოლარი შეადგინა. რაც მთავარია, ჯარიმის გადახდის შემდეგ, ფეხბურთელი იძულებული იქნება, ის მითითებები შეასრულოს, რასაც გარემოსდაცვითი სამსახური ითხოვს.

ეშმაკი პირჯვარს იწერს

მე-3 გვერდიდან

გავა წლები და ეს „იქნებ“ უარესად „გაფართოვდება“, „ჩაიხლართება“, ტყუილ-მართალი ერთმანეთში აიზილება და საქმე იქამდეც კი მივა, რომ ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი იტყვის, კირიონს „ბრაუნინგისთვის“ კი არ უნდა მიემართა, არამედ, ქართველი ერისთვისო. ისე, ისტორიკოს ჯანაშვილს კირიონი არც სიცოცხლეში ჰყვარებია, თურმე...

... მარტყოფის საიდუმლოდან გავა ზუსტად 75 წელი და „ბრაუნინგის ისტორია“ დეტალურად განმეორდება – სამეგრელოს მიყრუებულ სოფელში, ხუბულაში, სადაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სიცოცხლეს დაასრულებს. კირიონის მსგავსად, გამსახურდიას სიკვდილიც ნაშუაღამევს „დადგება“, თუმცა გასროლას, მარტყოფისა არ იყოს, ვერც ხუბულაში გაიგონებენ. „ფანჯრიდან შეპარული დემონის“ ვერსია „გამსახურდიას საქმეშიც“ აბსურდულია: უცხო პირი წინა ოთახს ვერც ამჯერად გამოიყენებდა, რადგან იქ პრეზიდენტის დაცვასა და პრემიერ-მინისტრს ეძინათ.

იქნებ, ხუბულაშიც თავად ლუციფერმა გამოჰკრა თითი სასხლეტს?

იქნებ... და ისევ ეს მრავლისმთქმელი იქნებ...

... ლამის ასი წელია, მარტყოფის მონასტერი საიდუმლოს ინახავს. ამ ხნის განმავლობაში, უწმინდესი პატრიარქის სიკვდილი, პრაქტიკულად, მხოლოდ ერთმა ადამიანმა, ისტორიკოსმა სერგო ვარდოსანიძემ შეისწავლა. ისე, გასაკვირი არაა, რომ „წითლები“ ამ ტრაგედიით არ დაინტერესდნენ, მაგრამ კირიონი ხომ ნოე ჟორდანიას ხელისუფლების დროს მოკლეს.

რატომ დადუმდა ეროვნული მთავრობა? ვინ შეუკვეთა კირიონის განადგურება? ვინ მოიყვანა „განაჩენი სისრულეში?“ რა ვერსიები გაჩნდა იმდროინდელ ქართულ პრესაში და მიდის თუ არა კვალი ჩვენს ჩრდილოეთ მეზობელთან? – ამ კითხვებზე პასუხები არ არსებობს. ერთი კია: კირიონის დაკრძალვის ხარჯები სახელმწიფომ გაიღო. საფლავის ქვა, საკათალიკოსო საბჭოს დავალებით, დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ და ქრისტეფორე კაპანაძემ ნეოფიტე აგლაძეს დაამზადებინეს და 1919 წლის 10 ივნისს დადგეს...

კირიონის გარდაცვალებას საქართველოში სერიული მკვლელობები მოჰყვება: 1918 წლის სექტემბერში, მიტროპოლიტ ანტონ გიორგაძეს კლავენ, მერე – მღვდელ ტიმოთე ბაკურაძეს და ბერებს – მირიანსა და გერმოგენს...

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ხდება...

დავით დავიდოვიც უკვე „დიდი კაცი“ და ლეონიდეს ნდობით აღჭურვილი პირია...

... კირიონის დაკრძალვის დღეს, 1918 წლის 7 ივლისს, სიონის საპატრიარქოს ტაძარში, დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე იტყვის:

„არ ვიცი, შენი ასეთი მოულოდნელი და უცნაური სიკვდილი ჩვენი გაუგებრობის, თუ უმადურობის ნაყოფია. ვერ გამიგია, რას ვთხოულობდით კიდევ შენგან?! სხვა ქვეყანაში ასეთ ნაამაგარ, დამშვრალ მხცოვან მოღვაწეს დაასვენებენ ხოლმე, სიბერის ჟამს დაუტკბობენ, განვლილ ტანჯვა-წამებას დაუამებენ და თუ კიდევ სამოღვაწოდ მოიწვევენ, მაშინ თავს ევლებიან მას, ტვირთს უმსუბუქებენ, რათა მისი სიბრძნე-გამოცდილებით ასარგებლონ ქვეყანა. ჩვენ ასე ვერ მოვიქეცით... ქედმაღლობა, გამძვინვარებული შური, საარაკო თავხედობა გამოვიჩინეთ“...

მღვდელმთავართა სერიული მკვლელობები

... კირიონ მეორის სიკვდილი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავს.

ერი გარინდებულია...

ლუციფერის მოციქულნი დავლურს უვლიან!.. მათი გეგმა მარტივია – გაზეთი „ახალი სიტყვა“ მრევლს დაარწმუნებს, რომ კირიონმა სიცოცხლე საკუთარი „ბრაუნინგით“ დაასრულა და „თვითმკვლელი“ კათალიკოსის ნეშტს, მარტყოფის მონასტრის ეზოში, კონსპირაციულად დაკრძალავენ...

მაშ ასე, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. საცაა, გამოძიებაც დასრულდება და საბოლოოდ დადგინდება, რომ კირიონმა თავი მოიკლა, მაგრამ...

შემთხვევის ადგილზე მისული გამომძიებლი პისტოლეტს დიდხანს აკვირდება. „ბრაუნინგი“ ჩაკეტილია. მაშასადამე, რა გამოდის? რა, პისტოლეტი მომაკვდავმა პატრიარქმა თვითონ ჩაკეტა?

გამომძიებელმა ბატალური სცენა წარმოიდგინა – კირიონი ბალიშის ქვეშიდან „ბრაუნინგს“ იღებს, ცოტა ხანს ხელში ატრიალებს, მერე, შუბლთან მიაქვს და სასხლეტს თითს ჰკრავს...

ქვეშაგები წითლად იღებება, კათალიკოსი გონებას კარგავს და უცებ „ბრაუნინგს“ კეტავს.

– კირიონს, იქნებ, მეორე იარაღიც ჰქონდა? – გაუელვა გამომძიებელს.

ჰო, საინტერესო ვერსიაა – სასთუმალთან „ბრაუნინგი“ განგებ დადო, თორემ სინამდვილეში, სხვა იარაღიდან ისროლა, რომელიც ფანჯრიდან გადააგდო!..

– არა, ასეთი მსჯელობა სასაცილოა! – დაასკვნა გამომძიებელმა, თუმცა ფაქტია, მკვლელობა „ბრაუნინგით“ არ მომხდარა. ამას შემთხვევის ადგილას ნაპოვნი „სხვა იარაღის“ ტყვიებიც ადასტურებს...

ასე და ამგვარად, თვითმკვლელობის ვერსიას წყალი შეუდგა. ლუციფერის მოციქულნი კონსპირაციული თეორიის მეორე და არანაკლებ საშიშ ეტაპზე გადადიან – ერმა უნდა დაიჯეროს, რომ კირიონის მკვლეობაში გარკვეული წვლილი მიტროპოლიტ ლეონიდს (ოქროპირიძე) მიუძღვის.

... კირიონი და ლეონიდე ძველი მეგობრები არიან, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად ერთად იბრძოდნენ, 1906 წლის იანვარში, პეტერბურგში, სინოდის სხდომაზეც ერთად მოიგერიეს ქართული ეკლესიის მოძულეთა შემოტევა... მერე, 1917 წლის 12 მარტს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად რომ გამოცხადდება, ეპისკოპოსი ლეონიდე ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი კომიტეტის მეთაური გახდება და დიდი საეკლესიო კრების მომზადებაც, რომელზეც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უნდა აირჩიონ, სწორედ მას დაევალება.

ამ დროს კირიონი რუსეთშია...

... მართალია, მღვდელმსახურთა ნაწილი პატრიარქად უკვე ლეონიდეს მიიჩნევს, მაგრამ მორწმუნეთა ჯგუფი, ქრისტეფორე კაპანაძის მეთაურობით, ჩრდილოეთს მიემგზავრება და კირიონს სამშობლოში დაბრუნებას სთხოვს.

– ყურადღებისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ ლეონიდე და მისი მომხრეები საქართველოში წყალს არ დამიწმენდენ, – აცხადებს მომავალი კათალიკოსი. მიუხედავად ამისა, შუამავალნი კირიონს სამშობლოში დაბრუნებაზე ითანხმებენ.

... 1917 წლის 17 სექტემბერი... პირველი საეკლესიო კრების ბოლო დღე... მღვდელმსახურთ კათალიკოს-პატრიარქი უნდა აირჩიონ... სულ ორი კანდიდატია – ეპისკოპოსი კირიონი და მიტროპოლიტი ლეონიდე. 448 დელეგატიდან 237 მხარს კირიონს უჭერს. მოწინააღმდეგე მხარე შოკშია...

... ლუციფერის მოციქულნი სწორედ ამ დაპირისპირებით ისარგებლებენ და ტკვარცალს დაიწყებენ, კირიონ მეორის მკვლელობაში ბრალი მიტროპოლიტ ლეონიდსაც მიუძღვისო...

... მარტყოფის ტრაგედიას მღვდელმთავართა და ღვთისმსახურთა სერიული მკვლელობები მოჰყვება: პროვინციებში, კირიონ მეორის საარჩევნო აგიტაციის მეთაურს, მღვდელ ტიმოთე ბაკურაძეს უცნობები საკუთარ სახლთან მოკლავენ... არქიმანდრიტ მირიანს მცხეთაში, ჯვრის მონასტერში მოკლულს იპოვიან... 1918 წლის სექტემბერში, ქუთათელ მიტროპოლიტ ანტონს (გიორგაძე) საკუთარი სიძე მოწამლავს...

30-იან წლებში, მომავალ პატრიარქ დავით დევდარიანს, სამი შვილიდან ერთ-ერთი, შიმშილითა და სიცივით მოუკვდება. დავითი დასახმარებლად მდიდარ ნათესავს მიაკითხავს, რადგან მღვდელი ვარ, შეშა არავინ მომყიდა, ვიცი, სამი ნავთქურა გაქვს და ერთი მათხოვე, სიკვდილისგან სხვა შვილები მაინც ვიხსნაო. მდიდარი ნათესავი დავითის თხოვნას ყურად არ იღებს... მერე, დრო რომ გავა, დავით დევდარიანი დიაბეტით დაავადდება. პატრიარქს საავადმყოფოში იძულებით დააწვენენ... მერე, ხმა გავარდება, დავითს სასიკვდილო არაფერი სჭირდა, მაგრამ ნემსის გაკეთება დაუგვიანეს, კომაში ჩავარდა და ამიტომაც მოკვდაო...

დავით მეხუთის სიკვდილამდე, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელი, გვარად მაჭავარიანი, უკვალოდ გაქრება... 50-იან წლებში, ეპისკოპოს ნაუმ შავიანიძის ვაჟს დახვერეტენ... პროტოდიაკონ ამბროსი ახობაძეს გადასახლებაში მარჯვენა ხელს დაუშანთავენ, პირჯვარი რომ ვერ გადაიწეროო...

... ლუციფერის მოციქულნი ისევ დავლურს უვლიან!..

... კირიონის მოკვლას მისი შინაკაცი, არქიმანდრიტი ტარასი დაიბრალებს. ხალხში ხმა გავარდება, ტარასი დავით დავიდოვმა მოისყიდა, 500 თუმანი მისცაო. იმასაც იტყვიან, ამ ხუთასი თუმნით, ტარასიმ კავკავში ძროხები იყიდა და თბილისში ფერმა „აიშენაო“... მოკლული კათალიკოსის მიერ შეკრებილ ხალხურ ლექსებსაც ტარასი მიითვისებს, რომელსაც მერე ლიტერატურულ მუზეუმს შესწირავს და თავმომწონედ იტყვის, ჩემი შეკრებილიაო...

... ლამის ასი წელია, მარტყოფის სანახები „ლუციფერის საიდუმლოს“ მალავს. ლამის ასი წელია, ვერავინ გაარკვია, რა მოხდა იმ ღამეს, საპატრიარქო რეზიდენციაში...

... მკვლელი, იქნებ, ნაცნობი იყო, კათალიკოსმა მოყვრად ჩათვალა და ღამეულ სტუმარს კელიის კარი საკუთარი ხელით გაუღო?

... მკვლელმა, იქნებ, არც იცოდა, ვის ჰკლავდა?

... ნეტავ, რა აზრმა გაულევა სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლთან მდგარ პატრიარქს?

... ნეტავ, რას ფიქრობდა იმ ღამეს დავით დავიდოვი? ან მაშინ რა იგრძნო, როცა კათალიკოსის გაყინულ სხეულს დახედა?

ალბათ, არაფერი... მას ხომ კირიონი არასოდეს ჰყვარებია...

რას ერჩოდა დავიდოვი კირიონს? ამბობენ, რომ მათ საგვარეულო მტრობა ჰქონდათ. იმასაც ამბობენ, დავიდოვი რუსი ეგზარქოსების ნაჯაშუშარი და ნააგენტარი იყოო... დავიდოვს, ერთხანობას, თურმე, „წითლებიც“ სწყალობდნენ და სიძველეთა საქმის კომიტეტიც ჩაუბარებიათ, მაგრამ მასზე გული მალევე აუყრიათ და გადაუსახლებიათ. იქ, თურმე, რაღაც უკურნებელი სენი შეჰყრია და მკლავი მოუჭრიათ. ხალხს მკლავმოჭრილი დავიდოვი პირველად რომ უნახავს, უთქვამს, ეგ სულ ცოდვით მოუვიდაო...

ხალხს არც მღვდელი შუბლაძე ჰყვარებია. კირიონთან ამ შუბლაძესაც ცუდი ურთიერთობა ჰქონია. თურმე, შუბლაძეზეც ამბობდნენ, ნააგენტარიაო... ვოსტოროგოვის ეგზარქოსობის დროს, შუბლაძეს მისთვის უთხოვია, სამრევლო სკოლების მეთვალყურედ თუ დამაყენებთ, ჯამაგირს მაზრაში სიარულს მოვახმარ და ხალხს ხმას გავაკმენდინებო. 1903 წელს, შუბლაძეს სანუკვარი თანამდებობა მართლა მიუღია, ქართველებისა და ბერძნებისთვის მშობლიურ ენაზე სწავლა აუკრძალავს, თან მტკიცება დაუწყია, ეს ქართველები როცა წერენ, რუსულად აზროვნებენო...

... კირიონ მეორეს კიდევ ერთი მოძულე ჰყოლია, ვინმე რატიევი (რატიშვილი). ჰოდა, ერთხელ, წირვის დროს, ეს რატიევი ანჩისხატის ტაძარში შესულა და კირიონისა და მისი მრევლისთვის სულ „კინტოები“ უძახნია...

... 1918 წლის 28 ნოემბერს, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს სხდომა ჩატარდება, რომელსაც, სხვა მღვდელმთავრებთან ერთად, თბილელი მიტროპოლიტი და კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ლეონიდეც დაესწრება. საბჭო კირიონის მემკვიდრედ სწორედ მას დაასახელებს. ზოგიერთი მღვდელმსახური ამ გადაწყვეტილებას გააპროტესტებს და საქმე იქამდეც მივა, რომ ზუგდიდელი მღვდელი ტროფიმე ჯოხთაბერიძე შინაგან საქმეთა მინისტრს საგანგებო დეპეშას გაუგზავნის, ეს კათალიკოსის არჩევის არაკანონიერი და არადემოკრატიული გზა არისო. პარალელურად, საგანგებო დეპეშა მთავრობის თავმჯდომარესაც მიუვა და ანონიმური ავტორი ნოე ჟორდანიას რიტორიკულად ჰკითხავს: **„ვინ მისცა საკათალიკოსო საბჭოს განუსაზღვრელი უფლება, რომ ხალხის დაუკითხავად სწყვეტს საქართველოს ეკლესიის ბედს? ჩვენ გვყავდა ღირსეული კაცი, მაგრამ მას შურით მაცქერალმა კაცმა არ აცალა სიცოცხლე და თავისი ბინძური ხელი შეურია მის წმინდა სისხლში!“**

... 1919 წლის თებერვალი. კვირა... სვეტიცხოველში, მიტროპოლიტ ლეონიდეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აკურთხებენ... საგანგებოდ ამ დღისთვის, მთავრობა მცხეთაში მატარებელს დანიშნავს. ლეონიდეს აღსაყდრებას ექვთიმე თაყაიშვილიც დაესწრება...

მერე, დრო რომ გავა, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია კირიონ მეორეს (სამაგლიშვილი) წმინდანად შერაცხავს.

... „ბრაუნინგის საიდუმლო“ მარტყოფის მონასტრის კედლებში ჩაიკირება და საქართველოს ისტორიაში, 1918 წლის 26 ივნისი „დემონურ სირცხვილად“ დარჩება – ამ დღეს ხომ უწმინდესი კირიონი მოკლეს!..

და პატრიარქის მკვლელობიდან ლამის ასი წლის შემდეგ, მოვლენები თითქმის ანალოგიური სცენარით განვითარდება – უბრალოდ, „ბრაუნინგს“ ციანიდი შეცვლის, თორემ საკათალიკოსო ტახტისთვის ბრძოლა ისევ ისეთივე აქტუალური იქნება, როგორც მაშინ, ასი წლის წინ იყო... მოკლედ, ტყუილად კი არ ამბობენ ხოლმე, ისტორია მეორდებაო...

ყველაზე დაბალი მანქანა ააგეს

აპენინებზე უჩვეულოდ „დაბაცქანა“ ავტომობილი გაჩნდა. მისი სიმაღლე ნახევარ მეტრზე ნაკლებია. კლირენსი მხოლოდ 30 მილიმეტრს შეადგენს. ეს ავტომობილი მსოფლიოში ყველაზე დაბალია და ის 1877 წელს გამოშვებული ძველი – Fiat Panda-ს ბაზაზე ააგეს. მანქანაში მძღოლი ჩვეულებრივ ფიცარზე წევს. გარემოს თვალთახედვისთვის კი GoPro-ს კამერაა დამონტაჟებული. მისი საშუალებით, გამოსახულება „სმარტფონს“ გადაეცემა. ავტომობილი „საჭე-ჯოისტიკის“ საშუალებით იმართება.

გამაახალგაზრდავებელი ჯინი შექმნეს

სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები გვირჩევენ, თავი შორს დავიჭიროთ ალკოჰოლისგან, თუკი გვსურს, რომ კარგი კანი გვქონდეს. თუმცა, ბრიტანული კომპანია Bompas & Parr, რომელიც ჟელატინის შთამბეჭდავ დესერტებს ამზადებს, საწინააღმდეგოსკენ გვიბიძგებს. მათ შექმნეს ჯინი, რომელიც კანს ეხმარება, უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს. ეს ალკოჰოლური სასმელი, რომელსაც Anti-aGIN უწოდეს, კოლაგენსაც შეიცავს, რომლის მოქმედებაც ნაოჭების წარმოშობასთან ბრძოლაზეა მიმართული. როგორც ცნობილია, ამ გამაახალგაზრდავებელი ჯინის ერთი ბოთლი ნებისმიერ მსურველს 50 დოლარი დაუჯდება, თუმცა სპეციალისტები გვირჩევენ, რომ არსებობს ნაკლებად ძვირადღირებული პროდუქტები, რომლებიც კოლაგენის დაშლის წინაღმდეგ მოქმედ ანტიოქსიდანტებს შეიცავენ. მაგალითად, ძვლების ბულიონი, ორაგული და მწვანე ფოთლოვანი ბოსტნეული – კომბოსტოსა და ისპანახის სახით.

ეკოდაკრძალვების ახალი სახეობა მოიფიქრეს



დიდი ბრიტანეთის უდიდესი დამკრძალავი ბიურო – Funeralcare, კლიენტებს მიცვალებულის ეკოლოგიური დამარხვის ახალ სახეობას – რესომაციას სთავაზობს. ესაა გვამის ტუტე ხსნარში დაშლა 160 გრადუს ტემპერატურაზე, რომლის დროსაც ნეშტი სითხედ იქცევა. ასეთი მეთოდისას, ორჯერ ნაკლები ნახშირბადი გამოიყოფა, ვიდრე კრემაციისას. რესომაციის შემდეგ, გვამიდან დარჩენილი ძვლები იფქვება და მას ახლობლებს ატანენ, სითხე კი სადრენაჟო წყალს ერთვის, რადგან ის უსაფრთხოა. კომპანიამ ამისთვის ოფიციალური ნებართვაც მიიღო. სხეულის სითხეში „გახსნა“, „კომერციულ ჩამდინარე წყლებად“ მიიჩნიეს, როგორც სამრეცხაოების. ეკოაქტივისტები რესომაციას მიცვალებულისა და ბუნებისთვისაც „ყველაზე მზრუნველ“ დაკრძალვის მეთოდად მიიჩნევენ. ის ნებადართულია აშშ-ში, კანადასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

ახალშობილები კოფეინის ინექციით გადაარჩინეს

კოფეინით თერაპია თრგუნავს ნეირონების მასობრივ კვდომას იმ ახალშობილებში, რომელთაც ნეონატალური ჰიპოქსია სჭირთ. ასე იკლებს ნერვიული სისტემის დაზიანების შეუქცევადი პროცესის განვითარების რისკი. ამ დასკვნას ევროპელი და ამერიკელი სწავლულები აკეთებენ, რომელთაც წრუწუნებზე ექსპერიმენტები ჩაატარეს. „კოფეინი დღეისთვის შესწავლილი ნივთიერებებიდან ყველაზე ეფექტიანია, რომელსაც შეუძლია, ჟანგბადის ნაკლებობის შედეგებს შეებრძოლოს. ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ კოფეინი უძლიერესი ნეიროპროტექტორიცაა“, – აცხადებენ სპეციალისტები. კოფეინის ინექციების წყალობით, დაღუპული და დაზიანებული ნერვული უჯრედების რაოდენობა და მასშტაბი, დაახლოებით, 3.5-ჯერ შემცირდა. ნეონატალური ჰიპოქსია ათასში ერთ ახალშობილში გვხვდება. მას ჰიპოთერმიის – სხეულის ტემპერატურის კონტროლირებადი დაქვეითების საშუალებით ებრძვიან. ის შემთხვევათა მხოლოდ 40%-შია წარმატებული. კოფეინოთერაპია კი მის დამატებად შეგვიძლია განვიხილოთ.

ახალ ზელანდიაში ცელოფნის პაკეტები აკრძალეს

ახალმა ზელანდიამ, მსოფლიოში პირველმა, სუპერმარკეტებში ცელოფნის ყველანაირი პაკეტის გამოყენება აკრძალა. ისეთი თხელებისაც კი, როგორებსაც ხილისა და ბოსტნეულისთვის იყენებდნენ. 2019 წლის შემდეგ, როდესაც ნაწილობრივ აიკრძალა მათი მოხმარება, ქვეყნის მოსახლეობა მილიარდი სქელი პაკეტით ნაკლებს მოიხმარდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ახალ ზელანდიას მაინც პლასტმასის ძალიან ბევრი ნარჩენი უგროვდება. მთავრობაში იმედოვნებენ, რომ თხელი პაკეტების აკრძალვის შემდეგ, ყოველწლიურად, 150 მილიონით ნაკლები ცელოფანი მოხვდება ნაგავსაყრელზე. მოსახლეობა კი მაღაზიებში მრავალჯერადი პაკეტებით ისარგებლებს.

სკოლაში მობილურებს კრძალავენ

მომავალი წლის იანვრიდან, ნიდერლანდელ მოსწავლეებს მობილური ტელეფონებით, ჭკვიანი საათებითა და სხვა გაჯეტებით სარგებლობა აეკრძალებათ. ვარაუდობენ, რომ ეს ბავშვებს დაეხმარება, ყურადღება სწავლაზე გაამახვილონ. ზოგიერთ მოსწავლეს, უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში, მოწყობილობით კლასში სარგებლობის უფლებას მისცემენ, მაგალითად, სამედიცინო ჩვენებისას, ან ინფორმატიკის გაკვეთილებზე. „ბავშვებმა უნდა შეძლონ კონცენტრაცია გაკვეთილებზე და ჰქონდეთ კარგად სწავლის შესაძლებლობა. ამაში მათ მობილური ტელეფონები უშლით ხელს“, – აცხადებს ქვეყნის განათლების მინისტრი. სკოლების შიდა განაწესის ახალ წესებს მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებთან შეათანხმებენ.

ალკოჰოლი ყავის ნალექისგან

პორტუგალიის მინიუს უნივერსიტეტის სწავლულებმა უნიკალური სპირტიანი სასმელი შექმნეს. მისი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მას ყავის ნალექისგან აწარმოებენ, ფაქტობრივად, იმ ნარჩენისგან, რაც დაფქვილი ყავის მოდუღების შემდეგ რჩება. აღსანიშნავია, რომ თავისი სიმაგრით, სასმელი არ ჩამოუვარდება არაყს ან კონიაკს. ბაზარზე პროდუქტი იყიდება სახელწოდებით – „ალკოჰოლიანი ყავა“, მაგრამ სინამდვილეში, ის დისტილატია, გამჭვირვალე ბრენდის სახით – 40% ეთანოლისა და არომატული ყავის შემცველობით. თანამედროვე ლიქიორებისგან განსხვავებით, რომელსაც ყავის მარცვლებისგან ამზადებენ, ახალი სასმელი ყავის ნარჩენებისგან მიიღება. თავად სწავლულები აცხადებენ, რომ მათი გამოგონება აბსოლუტურად უნიკალურია, აქვს „მაღალი კომერციული პოტენციალი“ და აქამდე, მსოლიფოში, მისი მსგავსი არაფერი გამოსულა. სასმელის ავტორებს იმედი აქვთ, რომ მათი ნახელავი დიდ პოპულრობას მოიპოვებს.

მავნე ჩვევებს ჭამით კურნავენ

პენსილვანიელი სწავლულების ახალი გამოკვლევის თანახმად, ზედმეტი კვება ანუ დროის მოკლე ხანში დიდი რაოდენობით საკვების მიღება, ადამიანს ფსიქოტროპული, ნარკოტიკული და ალკოჰოლური დამოკიდებულებისგან იხსნის. ამ აღმოჩენით, შესაძლოა, ადამიანი ნებისმიერი მავნე ჩვევისგან განიკურნოს. ალკოჰოლიზმი ერთ-ერთი, ყველაზე უფრო გავრცელებული დამოკიდებულებაა, როგორც მამაკაცებში, ასევე სუსტი სქესის წარმომადგენლებშიც. ზედმეტი ჭამასაც და ნარკოტიკების მიღებასაც – ორივეს კონტროლის კარგვა ახასიათებს. ერთი დაავადების დროს, საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვა, მეორეზეც იგივე რეაქციას იწვევს. ესე იგი, თუ ერთ მავნე ჩვევას დავამარცხებთ, მეორის განკურნებასაც შევძლებთ.

მკვლევარებმა ცდები მღრღნელებზე ჩაატარეს. თაგვები, რომელთაც ნარკოტიკს უკეთებდნენ, სხვადასხვა დიეტაზე დასვეს. პირველ ჯგუფს ნორმალურად კვებავდნენ, მეორეს – მუდმივად შეეძლო ცხიმიანი საკვების მიღება, მესამე ჯგუფს ამის საშუალება კვირაში ერთხელ ჰქონდა, მეოთხე ჯგუფის წევრებს კი ამ მავნე საკვებს კვირაში სამჯერ აძლევდნენ. აღმოჩნდა, რომ ნარკოტიკებისადმი მისწრაფება მეოთხე ჯგუფის მღრღნელებში შემცირდა. ამან სწავლულებს დასკვნის გაკეთების საშუალება მისცა: „რაციონალური“ ზედმეტი კვება, შესაძლოა, ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების წამლად იქცეს. უკონტროლო ჭამა კი, პირიქით, დამოკიდებულებას უფრო აძლიერებს.

ქუჩის კაფე „მიშლენის“ რეიტინგში მოხვდა

ტაივანზე მცხოვრები 80 წლის მოხუცის ფუნთუშები „მიშლენის“ პრესტიჟულ სარესტორნო რეიტინგში მოხვდა. პენსიონერი უ ხუანი, 20 წელზე მეტია, ამზადებს გუაბაოს – ეგრეთ წოდებულ, ტაივანურ ჰამბურგერებს ქუჩაში, ტაიბეის უძველეს, ღამის ბაზარში. სადილის დროს, უს დახლთან მსურველთა შთამბეჭდავი რიგები დგება, რომელთაც ახალი, არომატული ფუნთუშების მირთმევა სურთ. უს ჰამბურგერის წარმატების საიდუმლო მისი შიგთავსია – ღორის ცხიმიანი ხორცით და განსაკუთრებული სოუსით. მოხუცი ამაყობს, რომ ორთქლზე მომზადებული ყოველი ფუნთუშა ხელითაა მომზადებული. ერთი გუაბაოს ღირებულება, დაახლოებით, 2 დოლარია. ამ ბიზნესში პენსიონერს მთელი ოჯახი ეხმარება. უს მომზადებული გუაბაო ფრანგმა სარეტორნო კრიტიკოსებმაც დააფასეს. წელს, მოხუცის ქუჩის კაფე „მიშლენით“ აღინიშნა – ის Bib Gourmand-ის რეიტინგში მოხვდა, რომელშიც მხოლოდ საშუალო ფასის მქონე (34 დოლარზე ნაკლები), უჩვეულო კერძებით გამორჩეული დაწესებულებებია წარმოდგენილი.

ახალი კბილების ამოყვანა ისწავლეს

იაპონელმა მკვლევარებმა ახალი წამალი შეიმუშავეს, რომელიც საშუალებას იძლევა, ზრდასრულ ადამიანს ახალი კბილები ამოუვიდეს. სიახლე მათთვისაა, რომლებსაც თანდაყოლილი ფაქტორების გამო, საერთოდ არ აქვთ კბილები. „ახალი კბილების ამოყვანა ნებისმიერი დანტისტის ოცნებაა. ამაზე ჯერ კიდევ მაშინ ვმუშაობდი, როცა ასპირანტი ვიყავი. დარწმუნებული ვარ, რომ ამ იდეას განვახორციელებ“, – აცხადებს მკვლევარი კაცუ ტაკაჰიაში.

ცხოველებს, მათ შორის, ზვიგენებსა და რეპტილიების ზოგიერთ სახეობას აქვთ უნარი, გამუდმებით ამოუვიდეთ ახალი კბილები. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ადამიანებსაც შეიძლება ჰქონდეთ ასეთი უნარები. მეცნიერებმა ექსპერიმენტები მღრღნელებზე ჩაატარეს, რომლის დროსაც ახალმა პრეპარატმა წარმატებით განახორციელა სარძევე და მუდმივის შემდეგ, „მესამე თაობის“ კბილების ზრდის სტიმულირება. ამჟამად სპეციალისტები მუშაობენ პრეპარატზე, რომელსაც ადამიანი გამოიყენებს. მომავალში მას, პირველ რიგში, ანოდონტიის მქონე ბავშვების სამკურნალოდ მიმართავენ.

ყველაზე სასარგებლო პროდუქტი დაასახელეს

ერთ-ერთი, ყველაზე უფრო სასარგებლო პროდუქტი ჩვენს პლანეტაზე კვერცხია, – ასეთ დასკვნას აკეთებენ ამერიკელი სპეციალისტები, დალასის სამედიცინო ცენტრიდან. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი კვერცხიც კი 372 მილიგრამ ქოლესტერინს შეიცავს, ეს პროდუქტი ცოცხალი ცილების, ჰოლინის, რკინის, თუთიისა და სხვა მნიშვნელოვანი მიკროელემენტების წყაროა. კვერცხი აუმჯობესებს ტვინის მუშაობას, გვეხმარება მადის რეგულირებაში, ჰოლინისა და ფოლიუმის მჟავის, ასევე „ბე“-12 ვიტამინის წყალობით, იცავს ნაყოფს თანდაყოლილი დეფექტებისგან, თუ ორსულის რაციონში კვერცხი შედის. „გარდა ამისა, კვერცხი აუმჯობესებს მხედველობას და ამაგრებს ძვლებს, რადგან ის შეიცავს „დე“-ვიტამინს“, – აცხადებენ სწავლულები.

შემწვარ ქვებს ჭამენ

ჩინეთში მეტად უჩვეულო კერძი გახდა პოპულარული – ეს შემწვარი ქვებია (ალბათ, უფრო კენჭები), რომელსაც ჰუბეის პროვინციაში, ქუჩის მზარეულები სთავაზობენ გამვლელებს. ასეთი სპეციფიკური წასახემსებლის ერთი პორცია 16 იუანი ღირს. მდინარის კენჭებს დიდ ტაფებში, ზეთში წვავენ, რასაც უმატებენ კოჭას, ნივრის სოუსს და წიწაკას. მყიდველთან ასეთი კენჭები ძალიან ცოტა, მუჭაზე ნაკლები ხვდება. კენჭების ჭამა არ არის საჭირო, ისინი სათითაოდ უნდა გამოწუწნო. გამყიდველები კლიენტებს სთავაზობენ, ქვები სუვენირებად დაიტოვონ. ცნობილია, რომ ასეთ საკვებს ჩინელები ასობით წლების წინ მოიხმარდნენ. კერძს სოუდუი ერქვა, რაც „გამოლოკე და გადააგდე“-ს ნიშნავს. ეს კერძი მენავეებმა მოიგონეს იმ შემთხვევისთვის, თუკი მდინარით საქონლის გადატანის დროს, საკვები შემოელეოდათ. შემწვარი ქვები ერთგვარი მეთოდია ცარიელი კუჭის მოსატყუებლად.

ყველაზე ღრმა ოტელი გაიხსნა

სასტუმრო, სახელწოდებით – Deep Sleep, ოფიციალურად აღიარეს ყველაზე ღრმად განთავსებულ ოტელად. ის ნისლიან ალბიონზე მდებარე, ვიქტორიანული ეპოქის მაღაროში გახსნეს. სასტუმრო სნოუდონის მთიან მასივში, 1375 ფუტის ანუ 419 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს. ადგილები კი, უნდა ითქვას, რომ იქ, მართლაც ძალიან ცოტაა. სულ ოთხი, ორადგილიანი სახლისა და ერთი ქვის მღვიმის დაჯავშნაა შესაძლებელი, სადაც ორადგილიანი საწოლი დგას. თუმცა, ღამის გათევა ამ სასტუმროში არც ისე იაფი დაგიჯდებათ – მსურველს 350 ევროს გადახდა „სახლში“ დასაძინებლად მოუწევს, მღვიმეში დარჩენის მსურველმა კი 550 ევრო უნდა გადაიხადოს. ამასთან, სასტუმროში მხოლოდ ერთი – შაბათ-კვირის ღამის დაჯავშნაა შესაძლებელი. კიდევ ერთი ნიუანსი ამ უჩვეულო სასტუმროსთან მისასვლელი გზაა. ტურისტებს ჯერ, მთაზე 45-წუთიან ასვლას სთავაზობენ, შემდეგ კი ერთი საათის დახარჯვას, რათა უძველესი გზებით, მიწისქვეშა მაღაროში ჩაეშვან. სასტუმროში ალკოჰოლი აკრძალულია, ვახშამი კი უფასოა. ამ უჩვეულო გარემოში ღამის გათევის მსურველებმა ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ ტემპერატურა მხოლოდ 10 გრადუსია.

წიგნებს წონით ჰყიდიან

ჩინეთის ქალაქ ჩუნცინის ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელებმა წიგნების გაყიდვა წონით დაიწყეს. აქცია იმის გამო მოეწყო, რომ ბეჭდური წიგნების გაყიდვა გაიზარდოს. დაწესებულების კლიენტების მტკიცებით, წიგნების ყიდვა კილოგრამობით გაცილებით იაფია, ვიდრე – ცალობით. საქმე ისაა, რომ გაყიდული წიგნების რაოდენობა ჩინეთში ყოველწლიურად იკლებს და სავარაუდოდ, ახლო მომავალში, ელექტრონული წიგნები ბეჭდურს საერთოდაც ჩაანაცვლებს. არადა, მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი კომპანიის მონაცემების მიხედვით, რომელიც წიგნის ბაზარს იკვლევს, ჩინეთი მსოფლიოში ყველაზე „კითხვადი“ ქვეყნების ხუთეულში შედის. საათების რაოდენობის მიხედვით კი, როცა ქვეყნის ერთი მცხოვრები, საშუალოდ, ყოველკვირეულად, წიგნის კითხვაზე ხარჯავს დროს, მესამე ადგილზეა, ინდოეთისა და ტაილანდის შემდეგ.

უფასო ლუდი ყველაზე შორი პაბისგან

იმისთვის, რომ შოტლანდიაში მდებარე პაბამდე – The Old Forge, მიხვიდეთ, ფეხით 24 კილომეტრზე მეტი უნდა გაიაროთ. დაწესებულება, რომელსაც დიდი ბრიტანეთის ყველაზე შორს მდებარე პაბად მოიხსენიებენ, ამ ზაფხულს, ქვეითად სიარულის მოყვარულთათვის სამოტივაციო აქციას იწყებს. ტურისტები, რომლებიც შოტლანდიის ლოხ-ნევისის ტბის ჩრდილოეთ ნაპირზე მდებარე პაბში მიაღწევენ, უფასო ქარვისფერი სასმელით დასაჩუქრდებიან. ოქროსფერი ქაფიანი სითხის მისაღებად თავზეხელაღებულმა მოგზაურებმა სიტყვა Wiggle უნდა წარმოთქვან. აქციას მინი-ლუდსახარში შეუერთდა, რომელიც ამგვარად, თავის ახალ ნაწარმს, ლუდ Trale-ს უწევს რეკლამას, რომელიც ამ ეტაპზე, მხოლოდ ამ პაბში გაიყიდება. ერთ ადამიანს უფასოდ მხოლოდ ორი ბოთლი ლუდის მიღება შეეძლება. აქცია მარაგების ამოწურვამდე გაგრძელდება.

ინტელექტუალები „ღამურები“ არიან

დიდი ხანია მიიჩნევა, რომ ენერგია, რომელსაც ადამიანები ღამით მთვარისგან იღებენ, გაცილებით უფრო მეტ ახალ კრეატიულ იდეებს ბადებს, ვიდრე დღის ენერგია, რომელსაც მზისგან ვიღებთ. თუ Psychology Today-ს სტატისტიკურ მონაცემებს დავუჯერებთ, ადამიანებს, რომლებიც „ღამურები“ არიან, ინტელექტის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი აქვთ. ლონდონელი ფსიქოლოგები ამ მოსაზრებას ადასტურებენ და დღის რეჟიმის ღამით ჩანაცვლების სასარგებლოდ, მყარი არგუმენტები მოჰყავთ. პირველ რიგში, გვიან დაწოლის მოყვარულებს მეტი დრო რჩებათ იმისთვის, რომ იოცნებონ და საკუთარ ფანტაზიებს გასაქანი მისცენ. დღის საზრუნავი კი არ იძლევა საშუალებას, კონცენტრირება საკუთარ ოცნებებსა და სურვილებზე მოახდინოთ; ისინი, რომლებსაც არ სძინავთ ღამით, გარკვეულწილად, მეამბოხეები არიან. ასეთ ადამიანებს შორის არიან მხატვრები, გამომგონებლები და მეცნიერები. კიდევ, „ღამურები“ ყოველთვის მზად არიან ყველანაირი სიახლისთვის, ისინი ხშირად არიან იმ ფსიქოლოგიური და ემოციური განცდების ქვეშ, რასაც ღამის ცხოვრება ჩუქნით. ისინი, რომლებიც გვიან წვებიან დასაძინებლად, ყოველთვის უფრო მეტ ინიციატივას იჩენენ, ვიდრე „ტოროლები“. სწორედ გვიან საათებში მოსდის ადამიანს თავში გადასარევი იდეები. მხოლოდ გვიანობამდე ჯდომით შეძლებთ, დიდი ხნის წინ დაგეგმილი ყველა საქმის შესრულებას.

უკანალი მილიონად გირვანქად დააზღვია

დიდ ბრიტანეთში მცხოვრებმა საკუთარი უკანალი ერთ მილიონ გირვანაქა სტერლინგად დააზღვია. როგორც ინგლისური „მირორი“ წერს, 54 წლის გრეჰემ ბატერფილდი ფირმა Silentnight-ში მუშაობს, რომელიც ბრიტანეთში, საწოლების ყველაზე დიდი მწარმოებელია. ბატერფილდი სამსახურში იმით არის დაკავებული, რომ ყოველდღიურად ჯდება და ხტუნაობს საწოლებზე, რის შემდეგაც წერს ანგარიშს მატრასების თაობაზე. როგორც ბატონი გრეჰემი ამტკიცებს, მისი უკანალი იმდენად მგრძნობიარეა, რომ შეუძლია, შეამჩნიოს განსხვავება მასალის ტექსტურასა და სირბილეში, რომლისგანაცაა დამზადებული მატრასი. თანაც, ბრიტანელის თქმით, მისი „სუპერ შესაძლებლობები“ აბსოლუტურად ბუნებრივია და უკანალი არავითარ განსაკუთრებულ მოვლას არ საჭიროებს. დაზღვევის შემდეგ, ბატერფილდი უამრავი ხუმრობის ობიექტი გახდა, თუმცა ის დაცინვას ყურადღებას არ აქცევს და ამბობს, რომ უბრალოდ, მისი შეშურდათ.

ცილა ცხიმების დაწვას უშლის ხელს

ტოკიოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა აღმოაჩინეს პროტეინი, რომელსაც კავშირი აქვს ორგანიზმში ცხიმების დაწვასთან. ამ აღმოჩენამ, შესაძლოა, მეცნიერები ახალი პრეპარატის შექმნამდე მიიყვანოს, რომელიც ზედმეტი წონის პრობლემების მქონე ადამიანებს დაეხმარება. იაპონელმა სწავლულებმა, გენური ინჟინერიის საშუალებით, გამოიყვანეს თაგვები, რომელთაც ცილების ჩვეულებრივი რაოდენობა კი არა, მათი ნახევარი ჰქონდათ. შემდეგ ამ მღრღნელებსა და კიდევ ერთ, საკონტროლო ჯგუფს ცხიმის მაღალი შემცველობის მქონე საკვებს აძლევდნენ. ოთხთვიანი კვლევის შემდეგ, როცა მეცნიერებმა შედეგები შეადარეს, აღმოჩნდა, რომ გენეტიკურად შეცვლილმა თაგვებმა ცხიმოვანი მასის 10% დაკარგეს. იაპონელი მედიკოსები იმედოვნებენ, რომ შეძლებენ, ჭარბი წონის პრობლემა ადამიანებშიც დაძლიონ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი გენეტიკურად არიან მიდრეკილნი სიმსუქნისაკენ.

თანამშრომლებს საჩივრების გადაწერით სჯიდა

ჩინეთში მდებარე პოპულარული ყავის სახლების ქსელი – Luckin Coffee, სოციალური ქსელების ტრენდებში, მკაცრი სამუშაო კულტურის გამო მოხვდა. დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელმა ინტერნეტში გაავრცელა ინფორმაცია, რომ დამსაქმებელი მათ კლიენტების საჩივრების გადაწერას აძალებდა. ერთ-ერთი დაზარალებულის თქმით, ორი დღის განმავლობაში, მას პრეტენზიების დღეში 50-ჯერ გადაწერა მოუხდა. „მე მოვითხოვე ცხელი ყავა. ვერ დაინახეთ? არ გაგიღვიძიათ?“ – ასე ყღერდა საჩივარი, რომელიც მრავალჯერ უნდა გადაეწერა.

კიდევ ერთი თანამშროლის თქმით, ის გადაწერით იმიტომ დასაჯეს, რომ ყავის პარტიაზე ვადიანობის ინფორმაციის მიკვრა დაავიწყდა. „მე უნდა მივუთითო ვადიანობა“, – ასეთი იყო მისი სასჯელის ფრაზა, რომელიც დღეში ათჯერ გადააწერინეს. ასეთმა სადამსჯელო პოლიტიკამ თანამშრომლებში შიშის პოლიტიკა ჩამოაყალიბა, აღნიშნავენ სხვა დასაქმებულებიც. ამ ყველაფრის საპასუხოდ, Luckin Coffee-ში განაცხადეს, რომ ეს პროცედურა ეხმარება პერსონალს, უკეთ მოემსახურონ კლიენტებს.

ქალაქი ხმაურიანი ჩანჩქერის გამო დააჯარიმეს

იტალიური ქალაქი ბელანო გარემოსდამცველმა ორგანოებმა ხმაურიანი ჩანჩქერისთვის დააჯარიმეს. ტბა კომოზე, ეს ჩანჩქერი მილიონობით წლის წინ წარმოიქმნა და ადგილობრივ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. ათი ათასობით ტურისტი ყოველწლიურად ჩადის იქ, მისი სილამაზით დასატკბობად და კანიონის დასათვალიერებლად. თუმცა, ბოლო დროს, ადგილობრივები ბუნების ქმნილებაზე ჩივიან, რადგან ჩანჩქერის ხმა ძალიან მაღალი ეჩვენებათ. ბალანოს მცხოვრებლების განცხადებით, წყლის ხმაურის გამო, სახლებში ტელევიზორის ხმაც კი არ ესმით. თანაც, ყველაფერში ქალაქის საბჭო დაადანაშაულეს და მიიჩნევენ, რომ ხმაურის რეგულირება ხელოვნურად შესაძლებელია. ადგილობრივებმა დასახმარებლად რეგიონალურ გარემოსდაცვით სააგენტოს მიმართეს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, ქალაქის ხელისუფლების 900 ევროთი დაჯარიმების შესახებ. ის ბალანოს ხმაურით დაბინძურებაში დაადანაშაულეს. ქალაქის მერმა გადაწყვეტილებას აბსურდული უწოდა და უარი განაცხადა ჯარიმის გადახდაზე.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.